ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

მალე მალე მალე
3ფ[ფკბ სფჯ,ფ4
+
3ეცჯკბყბ
* კფ3ბ




[esif,fsb7 ^ ctmntv,thb7 @)!@ 1212 (5901) afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილი: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას 5 წელიწადში ვვარაუდობ“



გვ.5

## გიორგი თარგამაძე: ნაციონალების ერთპარტიული მმართველობა უნდა დამთავრდეს“

გვ.3



## აკაკი ასათიანი: საქართველოში შეიარაღებული დაპირისპირება გამორიცხულია“

გვ.2





## სალომე ზურაბიშვილი: სააკაშვილის დესპოტიზმი უნდა დასრულდეს“

გვ.3



## რატომ დაბრუნდა ნანა დევდარიანი პოლიტიკაში

გვ.6

## პრეზიდენტმა ელჩებს საზღვარგარეთ ქართული ღვინის გაყიდვების ხელშეწყობა დაავალა

გვ.6



## პაველ ფელგენგაუერი: რაც ლაფანყურის ტყეში მოხდა, უფრო სერიოზულ გაუგებრობას ჰგავს“

გვ.5



## რიჩარდ ნორლანდი: საქართველოში ჩემი პირველი ამოცანა მნიშვნელოვანი ცვლილებების უკეთ გაცნობა იქნება“

გვ.2



გვ.4

## გამოკითხულთა 16% მერაბიშვილის პრემიერობას ეთანხმება

## უცხოეთში მცხოვრები არალეგალი ქართველები არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ

გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** ყაზტრანსგაზსა“ და თელასში“ კომპანიების შესაძლო გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებების წარმოებას უარყოფენ

**3** ქართული ოცნება“ ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებს გმობს

**5** ახმედ ზაკაევი: ლოპოტას ხეობაში განხორციელებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებულმა კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო“

**6** ზურაბ ხარატიშვილი: საპარლამენტო არჩევნების თარიღის შეცვლის იურიდიული საფუძველი არ არსებობს“

კე3]ბ ოზსტკბ .ღზსტკბ იფღზ

# აკაკი ასათიანი: საქართველოში შეიარაღებული დაპირისპირება გამორიცხულია“

ნონა ცაბაძე



## ინტერვიუ აკაკი ასათიანთან

***— ბატონო აკაკი, მცირე დრო რჩება არჩევნებამდე, როგორია თქვენი შეფასებები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და ხელისუფლების ქმედებებზე?***

— მდგომარეობა საკმაოდ დაძაბულია, ხელისუფლება მაქსიმალურად ძაბავს ვითარებას, თუმცა მრჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთის კრიტიკამ ცოტა იმოქმედა ჩვენს ხელისუფლებაზე. იმედი მაქვს, რომ დასავლეთის ზეწოლა კვლავაც გაგრძელდება.

***— როგორ ფიქრობთ, არიან პროვოკაციაზე წამსვლელები?***

— ხელისუფლების მხრიდან სერიოზულ პროვოკაცია, ჩემი აზრით, ძალიან სერიოზულ პრობლემებს შეუქმნით პირველ რიგში მათ და მე მგონი, ამდენი ჭკუა ეყოფათ. ამის მცდელობას ადგილი ჰქონდა დაღესტნის საზღვართან, ეს ცოტა ბუნდოვანებით მოცული თემაა, თუმცა რაც გააკეთა ხელისუფლებამ, ეს სრულიად გაუგებარი ამბავია. შეიძლება, რომ წავიდნენ კიდეც პროვოკაციაზე, ჩვენ გვინახავს ასეთი არაერთი ამბავი.

***— არჩევნებს რაც შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი დაიძრა, დაიწყო სერიოზული კრიტიკა ხელისუფლების მისამართით, განწყობა მაინც ისეთია, რომ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს. თქვენი აზრით, რატომ არის ასეთი განწყობა საზოგადოებაში?***

— ერთი მხრივ, სიფხიზლე უნდა იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, მეტისმეტია იმის ძახილი, რომ გაყალბდება. მე მგონი, ეს ხელისუფლებას უმძაფრებს სურვილს, რომ გააყალბოს არჩევნები და თქვას, თვითონვე არ იძახდითო?! დიდი ყურადღებით უნდა იყოს რეალური ოპოზიცია ამ საკითხზე და მაქსიმუმი გააკეთოს იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს. ხალხი თუ მოვა და როგორც ჩანს, მოვა, ამის სრულიად აღმოკვეთა ძნელია, მაგრამ სერიოზულად შემცირდება ამის შესაძლებლობა, ეს არის ფაქტი.

***— ვრცელდება ინფორმაციები, რომ თითქოს უკვე ნახევარი მილიონი ყალბი ბიულეტენი აქვს დაბეჭდილი ხელისუფლებას, ასევე პირადობის მოწმობები და ასე შემდეგ. რამდენად ექნებათ ამის გამოყენების შანსი?***

— შანსი იმდენად არის, რამდენადაც დაანებებენ ამის გაკეთებას. სულ ცოტა ორი კომისიის წევრი რაც ჰყავს ოცნებას, საკმარისია იმისათვის, რომ ასეთი რამე არ მოხდეს. ჰყავთ დამკვირვებლები და აქტიურად იმუშავებენ. ასე მარტივად რომ აიღონ და ასე პირდაპირ ჩაალაგონ ბიულეტენები ყუთებში, არ გამოვა. თუმცა ჩვენ თუ მივცემთ ამის საშუალებას, ამასაც იზამენ.

***— რამდენად ელით დაძაბულობას არჩევნების შემდგომ პერიოდში, რომელიც ასე ყბადაღებულ თემად იქცა?***

— სწორედ, რომ ყბადაღებული. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, თუ ისეთი გაყალბება იქნა, პირდაპირ უტიფარი, რასაკვირველია, ხალხის რეაქცია იქნება, მაგრამ ამაზე აწყობა და აგება ყველაფრის არ იქნება სწორი. მთავარი ამოცანა არის, რომ ხალხი მოვიდეს არჩევნებზე, ხმა მისცეს, განწყობა ნათელია როგორიც არის და ამის მიუხედავად, თუ შეუძლებელი გახდა ხმების დაცვა, მერე მართლა სერიოზულად საფიქრალია. იმედი მაქვს, ყველა ფიქრობს ამაზე, მათ შორის მეც.

***— ალბათ თქვენც მოისმინეთ ერთ-ერთი ამერიკელი ექსპერტის შეფასება, რომ თუ ჩვენ არ გიშველეთ, საქართველოში სირია და ეგვიპტე გარდაუვალიაო. თქვენ რამდენად ხედავთ ამის საფრთხეს?***

— სირია-ეგვიპტის საფრთხე, როგორ გითხრათ, შეიარაღებულ დაპირისპირებას მე არ ველი. ვერ ვხედავ ამის შესაძლებლობას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უფრო სამოქალაქო პროტესტის ვარაუდი შეიძლება გვქონდეს. იგივე ეგვიპტის ვარიანტი, იქ არ მივიდა შეტაკება სისხლის ღვრამდე. რამდენად ეს სასურველია, არ ვიცი, თვითონ ხელისუფლებას რატომ უნდა უნდოდეს ეს ამბავი და რატომ უნდა იყოს იმის იმედად, რომ ამას გადააგორებს, არ ვიცი. შეიძლება ასეც იყოს. მე იმედი მაქვს, რომ დასავლელი პარტნიორები ამას რომ საჯაროდ ამბობენ, კულუარებში უფრო გასაგებად უხსნიან მათ, რომ არჩევნების შედეგი მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს საზოგადოების განწყობილებასთან.

***— ოპოზიცია დიდ იმედებს ამყარებს ამერიკის ახალ ელჩზე, ის დღეიდან შეუდგება საქმიანობას. რამდენად სწორი პოზიციაა ამერიკის იმედად ყოფნა?***

— ეს არ არის სწორი. ამერიკის ელჩების იმედად რომ ვართ, იმიტომაცა ვართ ასეთ დღეში. სულ ოქრო კაცი რომ იყოს და ბიძაშვილი რომ იყოს ივანიშვილის, სახელმწიფო პოლიტიკა აქვს იმ ქვეყანას და ის მოიქცევა თავისი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ და ეს პლუსი ნამდვილად აქვს ამერიკას, ანგარიშს უწევს საზოგადოების და ხალხის განწყობებს. ეს გამოხატულია. თუ ჭორაობის დონეზე დავიწყეთ უკმაყოფილების გამოხატვა, ეს უკმაყოფილების დონეზე დარჩება. ამერიკის კეთილგანწყობა ამ ხელისუფლებისადმი ცნობილია. მათ შეიძლება ჰქონდეთ სააკაშვილის პრობლემა, რომ დემოკრატიის დეკორაცია დაარღვია, თორემ მათ სხვა მხრივ პრობლემა ამ ხელისუფლებასთან არ აქვთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიჯეროთ, რომ ეს არის ჩვენი გასაკეთებელი საქმე. ამას ანგარიშს გაუწევს ყველა, თუ ჩვენი ხალხის ნება იქნა გამოხატული მკაფიოდ, მას ანგარიშს ყველა გაუწევს. მე ძალიან მაღიზიანებს ასე სხვის იმედად ყოფნა.

***— ასევე თქვენი კოალიციის შესახებ მინდა რომ გკითხოთ. თითქოს თანამშრომლობის მაგვარი პროცესი დაიწყო. იგივე შაშიაშვილის გადაწყვეტილება მაქვს მხედველობაში, მან გუბაზ სანიკიძის სასარგებლოდ მოხსნა კანდიდატურა, გაგრძელდება ეს თანამშრომლობა?***

— მანამადე მთაწმინდაზე მოიხსნა პაპუაშვილის სასარგებლოდ და კიდევ მთელ რიგ რეგიონებში ვაპირებთ. ეს არის ჯერჯერობით ცალმხრივი ჟესტი ჩვენი მხრიდან და მერე დანარჩენი ვნახოთ. მათი მხრიდან მსგავს განწყობებს ჯერჯერობით ვერ ვხედავ და ამ ერთ-ორ კვირაში რაღაც გამოიკვეთება ამ მიმართულებით.

***— თქვენი აზრით რა შანსები აქვს ოპოზიციას?***

— ოპოზიციას ჯამში აქვს გამარჯვების შანსი, თუ კარგად იმუშავებს და ყველაფერს რეალურად და ადეკვატურად მიუდგება, მაშინ გამარჯვების შანსები არის. მიუხედავად იმისა, რომ არ არის ერთიანობა, რასაც ძალიან ბევრს ვსაუბრობდი, საზოგადოების განწყობა დღეს ცალსახად გამოხატულია. რაც მთავარია თავად უნდა იმოქმედოს ყველამ და არ უნდა იყოს სხვა ქვეყნის იმედზე. მე ვფიქრობ, რომ მთავარი ოპოზიციური მოთამაშე ამ ყველაფერს გაითვალისწინებს. მოლოდინის რეჟიმში არ უნდა იყოს ოპოზიცია, ყველაფერი უნდა გააკეთოს გამარჯვებისათვის.

***— 50%-იან ბარიერს გადალახავს ოპოზიცია?***

— ეს თავისუფლად შეუძლია. იმას კი არ უნდა დაელოდოს, ვინ რას მისცემს, საერთაშორისო სტრუქტურები, ხელისუფლება, არამედ თვითონ უნდა მოიპოვოს. სხვანაირად არ ხდება ეს. ხალხში მხარდაჭერა დიდია და ეს უნდა გამოიყენონ. ოპოზიციამ ეს შანსი არ უნდა დაკარგოს. მთავარი რაც არის, არის ის, რომ ხალხი მოვიდეს არჩევნებზე და მაქსიმალურად იაქტიუროს.

***— არის მოწოდება ოპოზიციიდან, რომ ამომრჩეველი დღის ბოლომდე დარჩეს საარჩევნო უბანთან ხმის დასაცავად...***

— ეს შემდეგ გამოჩნდება, იქნება თუ არა ამის საჭიროება. არჩევნების პროცესში თანდათან გამოიკვეთება, რა ვითარებაა და ოპერატიულად შეიძლება შემდეგ მოქმედება, იმის მიხედვით, თუ რა ვითარებაა, შეიძლება გადაწყვეტილებების მიღება. წინასწარ არ უნდა იმის ძახილი, რომ გაყალბდება, უნდა დავიცვათ. არ არის საჭირო, წინასწარ ხალხის გაღიზიანება. ხომ შეიძლება შედგეს ნორმალური არჩევნები? ჩვენ ეს უნდა დავუშვათ და რომ დავუშვებთ და არ შედგება, ეს უკვე ცალკე თემაა. ვიქონიოთ იმედი, რომ ეს ყველაფერი მშვიდ ვითარებაში ჩაივლის.

# რიჩარდ ნორლანდი: საქართველოში ჩემი პირველი ამოცანა მნიშვნელოვანი ცვლილებების უკეთ გაცნობა იქნება“

აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ახალი ელჩის საქართველოში რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, მისი უპირველესი ამოცანა, საქართველოში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა იქნება.



ამის შესახებ მან თბილისში ჩამოსვლისას განაცხადა.

„ჩემთვის დიდი პატივია საქართველოში დაბრუნება. ქართულ სტუმართმოყვარეობას 1993 წელს უკვე გავეცანი. მოუთმენლად ველი შესაძლეობლობას, რომ კიდევ უფრო გავამყარო ურთიერთოებები აშშ-სა და საქართველოს შორის. ვიცი, რომ 1993 წელს საქართველოში ჩემი ბოლო ვიზიტის შემდეგ, აქ ბევრი რამ შეიცვალა. ჩემი პირველი ამოცანა იქნება ამ მნიშვნელოვანი ცვლილებების უკეთ გაცნობა“– განაცხდა რიჩარდ ნორლანდმა და აღნიშნა, რომ მისთვის პრიორიტეტული იქნება, რაც შეიძლება მეტი მოსაზრების მოსმენა პოლიტიკის, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, იმასთან დაკავშირებით თუ რა ხდება საქართველოში.

რიჩარდ ნოლადნი თბილისში მეუღლესთან ჩამოვიდა.

ნორლანდი საქართველოში აშშ-ს ელჩად ოფიციალურად ივლისის ბოლოს დაინიშნა. ის დიპლომატიურ სამსახურში უკვე 32 წელია მუშაობს. ნორლანდი საქართველოში აშშ-ს მეშვიდე ელჩია.

**ნიუსპრესი**

# ყაზტრანსგაზსა“ და თელასში“ კომპანიების შესაძლო გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებების წარმოებას უარყოფენ

„ყაზტრანსგაზ-თბილისსა“ და „თელასში“ კომპანიების შესაძლო გაყიდვასთან დაკავშირებით ინფორმაციას უარყოფენ.

როგორც „ნიუსპრესს“ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ პრესსამსახურში განუცხადეს, აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები საერთოდ არ მიმდინარეობს.

„ჩვენ ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გვაქვს“ – განაცხადეს კომპანიაში.

რაც შეეხება „თელასს“, კომპანიის პრესსამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, სხვადასხვა პარტიის მიერ წინასაარჩევნოდ გაკეთებულ განცხადებებზე კომენტარს კომპანია საჭიროდ არ მიიჩნევს.

„არასერიოზულია, რამდენჯერაც ვინმე რამეს იტყვის, იმდენჯერ ჩვენ კომენტარი გავაკეთოთ“-აღნიშნეს „თელასის“ პრესსამსახურში.

ინფორმაცია შესაძლო გაყიდვასთან დაკავშირებული კატეგორიულად უარყო კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმაც“ (თბილისის წყალი).

კომპანიის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ის არ არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში და არც კომპანიის გასხვისებასთან დაკავშირებით აწარმოებს მოლაპარაკებებს რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ან მის ცალკეულ წარმომადგენელთან.

რამდენიმე დღის წინ, პარტია „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური პარტნიორი, პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ საერთაშორისო მრჩეველი, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი მინდია გულუა „თბილისის წყლის“, „ყაზტრანსგაზისა“ და „თელასის“ შესყიდვას გეგმავს. ამის მიზანი კი, ტარიფების შემცირება და მოსახლეობისთვის დაგროვილი დავალიანების ჩამოწერაა.

ამასთან, კომპანია „თელასის“ აქციების გამოსყიდვას და ტარიფების დაწევას ამომრჩეველს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობაც“ პირდება.

**ნიუსპრესი**

# ქართული ოცნება“ ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებს გმობს

**საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით იზიარებს საზოგადოების უკიდურეს აღშფოთებას, გმობს ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკას და მას დანაშაულებრივად უპასუხისმგებლოს უწოდებს.**

ამის შესახებ საარჩევნო ბლოკმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო რამდენიმე დღე უმალავდა საკუთარ მოსახლეობას სოფელ ლაფანყურთან ლიკვიდირებული ადამიანების ვინაობას და ურცხვად ტყუოდა, თითქოს, მათ შორის საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ.

განცხადების თანახმად, ვრცელდება შემაძრწუნებელი დეტალები დაღუპული თანამოქალაქეების ნათესავებზე მორალური ზეწოლისა და გარდაცვლილთა ცხედრებით მათთან პირდაპირი ვაჭრობის თაობაზე. ავტორთა თქმით, ასეთი დამოკიდებულება ბუნებრივად იწვევს საზოგადოების სამართლიან გაღიზიანებას და აძლიერებს ეჭვებს ისედაც ნდობადაკარგული ხელისუფლების მიმართ.



„როგორც ჩანს, პრეზიდენტ სააკაშვილს აწყობს, საზოგადოება განსაცდელის მოლოდინის მდგომარეობაში მუდმივად ამყოფოს და ამ გზით დათრგუნოს მოქალაქეთა თავისუფალი ნება“– ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ გარდა ამისა, იმ მწირი და წინააღმდეგობრივი ინფორმაციითაც კი, რასაც ხელისუფლება ავრცელებს, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაშიც ხელისუფლება მისთვის ჩვეული სულსწრაფობით მოიქცა და სპეცოპერაცია იმ ვითარებაში დაიწყო, როცა სრულად არ იყო ამოწურული მოლაპარაკების რესურსი და რჩებოდა მსხვერპლის თავიდან აცილების თუნდაც მინიმალური შესაძლებლობა.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებას მოუწოდებს და კატეგორიულად მოითხოვს იმოქმედოს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ამავდროულად, ბლოკი მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მეგობარ ქვეყნებს, რათა მათ განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, გააძლიერონ ყურადღება საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ინტენსიური გახადონ კონსულტაციები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სიღრმისეული განხილვის საგნად აქციონ ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენები.

საქართველო-რუსეთის საზღვართან სპეცოპერაციის ოპერაციის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ექიმი ვლადიმერ ხვედელიძე დაიღუპნენ.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

[illegible]

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

[illegible]

## ქართული ოცნების“ წევრები თავისუფლების სანაცვლოდ 400-ლარიან ჯარიმას გადაიხდიან

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ „ქართული ოცნების“ წევრები ლევან ხუციშვილი და ზაზა როსტიაშვილი სამართალდამრღვევებად სცნო და მათ 400 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, როსტიაშვილი და ხუციშვილი მეგობართან სახლში საქეიფოდ იმყოფებოდნენ, რა დროსაც ქუჩიდან მეზობელმა – ბაჩო ნიკოლოზიშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა , რაზეც როსტიაშვილმა და ხუციშვილმაც შეურაცხყოფითვე უპასუხეს. ამის შემდეგ ნიკოლოზიშვილმა პოლიციას გამოუძახა და ოთხმა სამართალდამცველმა „ქართული ოცნების“ წევრები დააკავა.

„ქართული ოცნების“ წევრებს მოსამართლემ ბრალი ორი მუხლით წაუყენა: წვრილმანი ხულიგნობა და დაუმორჩილებლობა, თუმცა „ქართული ოცნების“ წევრები დაუმორჩილებლობის ფაქტს უარყოფენ და აცხადებენ, რომ პოლიციის მოთხოვნისთანავე გაყნენ.

სანქციის თანახმად, როსტიაშვილი და ხუციშვილი ან 90 დღიან პატიმრობაში დარჩებოდნენ ან თავისუფლების სანაცვლოდ 400-ლარიან ჯარიმას გადაიხდიდნენ.

შეგახსენებთ, რომ „ქართული ოცნების“ წევრები ლევან ხუციშვილი და ზაზა როსტიაშვილი ყვარლის პოლიციამ გუშინწინ გვიან ღამით დააკავა.

**მედიანიუსი**

## ლეიბორისტები მოქალაქეებს საბანკო სესხების ჩამოწერას ჰპირდებიან

„ლეიბორისტული პარტია“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეებს საბანკო სესხების ჩამოწერას პირდება. ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ხელისუფლებისა და კომერციული ბანკების მიზანმიმართული დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგად, ბანკების მიმართ დავალიანებების მქონე მოქალაქეების რაოდენობამ 300 000 -ს მიაღწია, რაც ჯიბლაძის შეფასებით, საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის კატასტროფის ტოლფასია.

„ჩვენი მიმართვების მიუხედავად, ხელისუფლებამ არ გამოიჩინა ნება საფინანსო ბეგარის ჩამოსაწერად, ამიტომ, „ლეიბორისტული პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით, ჩვენს თანამემამულეებს დანაშაულებრივად წარმოშობილი სესხები ჩამოეწერებათ“ – განაცხადა ჯიბლაძემ.

**ნიუსპრესი**

## მემარჯვენეებმა“ სამშვიდობო მარში“ დედოფლისწყაროდან დაიწყეს

პოლიტიკური პარტიია „ახალი მემარჯვენეების“ სააგიტაციო ავტობუსი ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობას კახეთიდან, დედოფლისწყაროს რაიონიდან იწყებს.

„ახალი მემარჯვენეების“ პრესსამსახურის ინფორმაციით, „სამშვიდობო მარშის“ ფარგლებში, პარტიის წევრები აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოსკენ ყველა ქალაქს და რაიონს მოივლიან. ისინი ამომრჩევლებს საკუთარ პროგრამასა და პრობლემების მოგვარების ხედვას გააცნობენ.

ავტობუსში ახალგაზრდებთან ერთად, პარტიის ლიდერები დავით გამყრელიძე, ფიქრია ჩიხრაძე და მამუკა კაციტაძე იმყოფებიან

**ნიუსპრესი**

# გიორგი თარგამაძე: ნაციონალების ერთპარტიული მმართველობა უნდა დამთავრდეს“

თეა მარხვაიძე



**პოლიტიკური პარტიის ლიდერები რეგიონებს არიან მოდებული. ადრე თუ თბილი კაბინეტებიდან არ გადიოდნენ, ახლა, ლამის არის, თავიანთი ხელით გაუკეთონ მოსახლეობას „უბორკები“. პარტია აღარ დარჩა, რომლის ლიდერმაც გლეხს ან ყურძენი არ დაუკრიფა, ან ყანა არ მოუმკა, ანდა გაზის მილი არ „მიუსვარკა“.**

**მათ მიერ გაკეთებული საქმის ხარისხზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ სანახაობა გამოვიდა კარგი. ვიღაცას გული აუჩუყდა, სოციალურ ქსელებზე ღადაობის თემები გაჩნდა.**

მარტო თიბვით და ყურძნის მოკრეფით ფონს ვერც ერთი პარტია ვერ გავა. ერს პოლიტიკური განცხადებების მოსმენაც სწყურია. საქართველოში არც ლოზუნგების დეფიციტია. ზოგიერთ პარტიას ისეთი ლოზუნგი აქვს, ჯობია არ მოუსმინო. სიცილით მოკვდები და საარჩევნო ყუთამდე ველარ მიაღწევ.

არჩევნებამდე კიდევ უფრო დამაინტრიგებელი განცხადებები გაკეთდება. პოლიტიკოსებიც აქტიურად დაიწყებენ ხელების ქნევას. რას იზამ, ქართველ ამომრჩეველს მყვირალა და მოჩხუბარი ლიდერები უყვარს.

და რაკი ბაზარი ასეთ მოთხოვნებს აყენებს, კონსტრუქციულებიც კი იძულებული არიან მწვავე განცხადებები გააკეთონ. სიმწვავე თავის განცხადებებში ქდმ-ის ლიდერმაც გაურია. ჯერჯერობით ვინმესთვის რაიმეს წართმევით, ანდა რევოლუციით არ იმუქრება, მაგრამ გაუჩნდა სურვილი ქვეყანაში ნაციონალების ერთპარტიული მმართველობა დაასრულოს. ამის სურვილი სხვებსაც კი აქვთ, მაგრამ სააკაშვილი ამბობს, ნურას უკაცრავადო.

სააკაშვილის პროგნოზის თარგამაძეს არ სჯერა. ყოველ შემთხვევაში, ღიად ამბობს, რომ ნაციონალების ერთპარტიული მმართველობა უნდა დასრულდეს. ერის ნაწილისთვის გულის მოსაფხანი განცხადება ქდმ-ის ლიდერმა გუშინ გორში გააკეთა.

გორში ქდმ-ის ლიდერები ამჯერად რაიმეს მოსაკრეფად ან მოსათიბად არ ჩასულან. გიორგი თარგამაძემ და ლევან ვეფხვაძემ იქ შიდა ქართლის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინეს.

ამ წარდგინებამ მშვიდად ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში, ზონდერები არ გამოჩენილან. არადა, ზონდერული აკვანი აქ დაირწა. როგორც ჩანს, ზონდერები გუშინ ან საქეიფოდ იყვნენ წასული ანდა უქეიფოდ იყვნენ.

მოსახლეობასთან შეხვედრისას გიორგი თარგამაძემ ბევრ რამეზე ისაუბრა. მათ შორის ომსა და მშვიდობაზე. ომის და მშვიდობის თემა დღეს ყველაზე აქტუალური აქ არის.

– შიდა ქართლის რეგიონის მცხოვრებმა მოსახლეობამ ყველაზე კარგად იცის მშვიდობისა და სიცოცხლის ფასი. რეგიონში მოქალაქეებს ესაჭიროებათ ცვლილებები, ქვეყანაში კი უნდა დაინგრეს ერთპარტიული მმართველობა, – განაცხადა თარგამაძემ.

ქდმ-ის ლიდერი ხალხს არწმუნებს, რომ მის პარტიას ცვლილებების გატარება შეუძლია. პარტიის მიერ წარდგენილი მაჟორიტარები კი საუკეთესოდ მიაჩნია.

– ადამიანები რომელნიც ქდმ-ის სახელით მაჟორიტარობის კანდიდატებად იყრიან კენჭს, ცხოვრებისეული გამოცდილებით და „ქრისტიან-დემოკრატიული“ იდეებისადმი ერთგულებით გამოირჩევიან. ისინი საკუთარი კუთხისა და ქვეყნის პატრიოტები არიან. ნაციონალური მოძრაობის ერთპიროვნული და ერთპარტიული მმართველობა უნდა დამთავრდეს და ქრისტიან-დემოკრატები ამ პროცესში გადამწყვეტ როლს შევასრულებთ. აქაურ მოსახლეობას უნდა დემოკრატია და თავისუფლება, მაგრამ არა ყველაფრის ფასად და ეს ფასი ქრისტიან-დემოკრატებმა შიდა ქართლის მცხოვრებლებთან ერთად ყველაზე კარგად ვიცით. ამის პარალელურად, აქ არის მოსახლეობა, რომელსაც სწყურია შრომის ღირსეული დაფასება, რომ ჰქონდეს სამართლიანი ტარიფები ენერგომატარებლებზე, სასუქზე, საწვავზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე, რომ უზრუნველყონ ოჯახის ღირსეული ყოფა. ეს ყველაზე რეალური პროგრამაა და ის სწორედ ქრისტიან-დემოკრატებს აქვთ, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

თარგამაძემ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში გორის მაჟორიტარობის კანდიდატად გორის საკრებულოს ქრისტიან-დემოკრატი ზურაბ როსეფაშვილი დაასახელა, ხაშურში – ეკატერინე მჭედლიშვილი, ქარელში – დავით ვარძელაშვილი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის მანდატისთვის კი ივანე ივანიშვილი იბრძოლებს.

გუშინვე ქდმ–ის ლიდერი გიორგი თარგამაძე და მოძრაობის საერთაშორისო მდივანი გიორგი რუხაძე შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს კარლ ბილდტსა და ვლადისლავ სიკორსკის შეხვდნენ.

შეხვედრის ძირითად საკითხად საარჩევნო გარემო გამოიკვეთა. პარტიის ლიდერმა ყურადღება სამართლიანი არჩევნების ჩატარების მნიშვნელობასა და კონკურენტული გარემოს შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილა.

ამასთან, თარგამაძემ იმ საგარეო საქმეებზე ისაუბრა, რომლის წინაშეც საქართველო დგას.

შეხვედრაზე კარლ ბილდტსა და ვლადისლავ სიკორსკის პარტიის საარჩევნო პროგრამაც გააცნეს.

– ჩვენი და ჩვენი ევროპელი კოლეგების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში ერთპარტიული მმართველობის დასრულება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანას როგორც შიდა დემოკრატიული განვითარების, ასევე ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.



# სალომე ზურაბიშვილი: სააკაშვილის დესპოტიზმი უნდა დასრულდეს“

თეა მარხვაიძე

ყველა ელოდა, რომ სალომე ზურაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის თანამშრომლობა შედგებოდა. რამდენჯერმე გაკეთდა განცხადება, რომ ის ივანიშვილის ბლოკიდან იყრიდა კენჭს საპარლამენტო არჩევნებში.

მათი თანამშრომლობა არ შედგა. ამბობენ, რომ სალომე ზურაბიშვილს მეოცნებეთა შეთავაზება არ მოეწონა. მისთვის ფოთის მაჟორიტარობა შეუთავაზებიათ, სალომეს კი უარი უთქვამს.

ზურაბიშვილი კენჭს აღარ იყრის. ამის მიუხედავად, ცდილობს აქტიური იყოს. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ხშირად ეხმაურება.

ამ დღეებში პოპულარულ გამოცემა „ლე მონდმა“ მისი წერილი გამოაქვეყნა. საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი თავის წერილში აცხადებს, რომ სააკაშვილის ხანა უნდა დასრულდეს.

– როგორც ეს საქართველოში ხშირად არის ხოლმე და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყანას მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ტანდემი მართავს, ბიზანტია შორს არ არის. ამ მხრივ სიტუაცია კლასიკურია: ავტორიტარული რეჟიმი არჩევნებს „ამზადებს“. დასავლელი პარტნიორები მოუწოდებენ მას, შეწყვიტოს ადამიანის უფლებების სულ უფრო აშკარა დარღვევები, – ვკითხულობთ წერილში.

სალომე ზურაბიშვილი წერილში ქართველი ხალხის მოლოდინზეც წერს. საუბრობს ბიძინა ივანიშვილზეც, რომლის დისკრედიტაციასაც ხელისუფლება აქტიურად ცდილობს.

– არაფერი არ იცვლება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: „მე არ ვაპირებ მათთვის ხელისუფლების დათმობას იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ქვეყნისთვის გავაკეთე,“ – ამბობს თავად სააკაშვილი. მსგავსი რამ ადრეც მოსმენილი გვაქვს. გარდა ამისა, ყველა ოპოზიციონერი აუცილებლად „მოსკოვის აგენტია“, საბჭოთა წყობის აღდგენის მომხრე, ერთი სიტყვით – მოღალატე. მიუხედავად იმისა, რომ კონსპიროლოგია ნორმად იქცა (საქართველოში არაერთხელ დაუკავებიათ ჯაშუშები, სამხედროები სახელმწიფო გადატრიალებაში დაუდანაშაულებიათ, შეთქმულებები უმხელიათ...), ის აღარ მუშაობს. ქვეყანას სურს ცვლილებები და სჯერა ახალი ოპოზიციური ფიგურის, რომელსაც, მიუხედავად მისი დისკრედიტაციის კამპანიისა, აღიქვამს არა როგორც მოსკოვის დესპანს, არამედ როგორც ნამდვილ ქველმოქმედს, ქართველ ბილ გეითს. როგორც გახსოვთ, ომამდე სწორედ ის აფინანსებდა სააკაშვილის რეჟიმის ყველაზე თვალსაჩინო ინიციატივებს (ყაზარმების, გზების, სამედიცინო ინფრასტრუქტურის მშენებლობას). იმ დროს, მისი ფულის რუსული წარმომავლობა არავის აღელვებდა, – ვკითხულობთ წერილში.

სალომე ზურაბიშვილი შეშფოთებულია იმითაც, რომ სააკაშვილს კონსტიტუციის შეცვლის მექანიზმი აქვს ხელთ და ამ გზას ხშირად მიმართავს.

– საქართველოს ახალი ხელისუფლება სჭირდება. კონფლიქტის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ვერ შეძლო შელახული რეპუტაციის აღდგენა, მიუხედავად იმ შიზოფრენიული პროპაგანდისა, რომ „ჩვენ ომში გავიმარჯვეთ“. ქვეყანა ამისკენ კიდევ უფრო ძლიერად მიისწრაფვის იმიტომ, რომ პრეზიდენტის პარტია ქვეყანას უკვე მერვე წელია მართავს, ხოლო უდიდესი საპარლამენტო უმრავლესობა მას კონსტიტუციით იოლად მანიპულირების შესაძლებლობას აძლევს, ოპოზიციის აზრს კი, რომელსაც სულ რამდენიმე მანდატი აქვს, არაფრად აგდებენ.

ოპოზიციური პარტიის ხელთ არ არის არც ერთი მუნიციპალიტეტი ან გუბერნატორის პოსტი, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურებსა და პოლიციაში თანამდებობებზე დანიშვნა უმკაცრესი კონტროლით ხდება. ამ განუყოფელმა ძალაუფლებამ ქვეყანა ომამდე და სიღატაკემდე მიიყვანა; აქა-იქ აგებული ფერადი თანამედროვე შენობები, „პოტიომკინის სოფლების“ მსგავსად, აქ მოხვედრილი უცხოელების გულებს იგებს, – წერს ექსმინისტრი.

სალომე ზურაბიშვილი სხვების მსგავსად, 1-ელ ოქტომბერს დაგეგმილ არჩევნებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით, ეს არჩევნები ბევრ რამეს გასცემს პასუხს.

– დამდეგ არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ არჩევნების შემდეგ გაირკვევა, გახდება თუ არა დღევანდელი ხელისუფლება მუდმივი, მიბაძავს ჩრდილოეთით დამკვიდრებულ ვლადიმერ პუტინის მოდელს. საქმე ის არის, რომ ამჯერად ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანება სანდო და ფინანსურად უზრუნველყოფილი (მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი თანხები საქართველოში გაყინულია) ლიდერის გარშემო, ხელისუფლების დემოკრატიული ცვლილებისთვის პირობებს ქმნის. დარღვევების, ასევე ზეწოლისა და დისკრიმინაციის შემთხვევების მზარდი რიცხვი და ჯერ კიდევ არცთუ სანდო კვლევები საზოგადოებრივი აზრისა დაშინებულ ქვეყანაში, გაცილებით კარგად ცხადყოფს იმას, რომ ხელისუფლება გამარჯვებაში დარწმუნებული არ არის და მზადაა, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ განაცხადა „ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს“.

2008 წლის კონფლიქტის დროს, ზოგიერთი ჩვენთაგანი აფრთხილებდა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ რეჟიმის აგრესიული რიტორიკა, მილიტარისტული ლოზუნგები და მისი სტრატეგია მოსკოვთან ურთიერთობაში დაძაბულობის შექმნისა, ნამდვილი უგუნურება იყო ხელისუფლების მხრიდან, რომელიც ცდილობდა საკუთარი ლეგიტიმურობის განმტკიცებას, ახდენდა რა ქვეყნის მობილიზებას გარე საფრთხის წინააღმდეგ.

ამჯერად, ჩვენ კვლავ ვხედავთ ტელევიზიით მილიტარისტულ ვიდეორგოლებს და ხმამაღალ განცხადებებს, ისეთს, როგორიც სააკაშვილმა მაგალითად 29 აგვისტოს გააკეთა: „ჩვენ არავის დავუთმობთ“. გარდა ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ასევე უცნაური ინციდენტების ჯაჭვი: გაურკვეველი ეროვნების შეიარაღებული ადამიანების ჯგუფმა დაღესტნის საზღვართან ახალგაზრდა ქართველები დააკავა. სწორედ ამ მომენტში ტერაქტს საზღვრის მეორე მხარეს, დაღესტანში რუსეთის არმიის მობილიზება მოჰყვა. ახალგაზრდები გაათავისუფლეს. ქართულმა სპეცდანაყოფებმა ოპერაცია დაიწყეს, რომლის შედეგადაც მოკლულია 11 „მებრძოლი“, დაიღუპა სამი ქართველი ჯარისკაცი. ბრძოლა გრძელდება. მოსკოვის რეაქცია ამ ფაქტზე თავშეკავებული იყო და იმით შემოიფარგლა, რომ რუსეთის ან დაღესტნის ტერიტორიიდან მებრძოლების საქართველოში გადასვლის ფაქტი უარყო. საქართველოს მოქალაქეები ამ საკითხებს სოციალურ ქსელში აყენებენ, მაგრამ მხოლოდ არადამაჯერებელ პასუხებს იღებენ, – ნათქვამია წერილში.

# უცხოეთში მცხოვრები არალეგალი ქართველები არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ

ნათია ხურცილავა



თბილისში, საზღვარგარეთ საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო წარმომადგენლები, ელჩები იმყოფებიან. ამბასადორიალზე ჟურნალისტების ერთ-ერთი ინტერესის საგანი 1 ოქტომბერს, სამუშაო დღეს დანიშნული საპარლამენტო არჩევნები იყო, რამდენად შეძლებენ საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?

ამ კითხვით საგარეო საქმეთა მინისტრს სერგი კაპანაძეს მივმართეთ, რომელმაც ასეთი პასუხი გაგვცა:

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის დროს პრობლემები არ შეექმნათ, – ამბობს კაპანაძე. კაპანაძის განცხადებით, უცხოეთში გაიხსნება იმავე რაოდენობის საარჩევნო უბნები, როგორიც იყო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს.

მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ შეიძლება იყოს რაღაც მცირე გამონაკლისი, მაგრამ არ იქნება რაიმე ფუნდამენტური და, შესაბამისად, როგორც კაპანაძემ განაცხადა, ყველაფერი გაკეთდება ცესკო-სა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, რომ უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს რაიმე შეზღუდვა არ დაუწესდეთ.

რაც შეეხება არჩევნების ორშაბათისთვის დანიშვნას, ამასთან დაკავშირებით სერგი კაპანაძემ განაცხადა, რომ უკვე რაიმეს გაკეთება შეუძლებელია, გადაწყვეტილება მიღებულია და ამაზე კომენტარი საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის.

რაც შეეხება აუცილებელ პირობას, რომ არჩევნებში მონაწილეობისთვის უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეები უნდა იყვნენ საკონსულო აღრიცხვაზე, კაპანაძის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს სურს, ძალიან ცალსახად განაცხადოს – ეს გადაწყვეტილება, რომელიც იქნა მიღებული დამატებითი დოკუმენტაციების წარდგენასთან დაკავშირებით, გაკეთდა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ თავიდან აერიდებინათ დუბლირება სხვადასხვა ადამიანების და, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ 2 განსხვავებული ქვეყნის საკონსულო აღრიცხვაზე.

– თქვენ თუ ნახავთ ჩანაწერს, რა წერია იქ, ვნახავთ, რომ ასეთი ტიპის დოკუმენტი სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ გავარკვიოთ, ეს ადამიანი მართლა იმ ქვეყანაში იმყოფება თუ არა, – დასძინა სერგი კაპანაძემ.

იგივე კითხვით მივმართეთ საქართველოს ელჩს საფრანგეთში მამუკა კუდავას, კუდავამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ არჩევნების ორშაბათს ჩატარება ხელს არ შეუშლის საზღვარგარეთ მყოფი ქართველების მონაწილეობას საარჩევნო პროცესში. მისივე თქმით, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დილით ან საღამოს მივიდეს საარჩევნო უბანზე და ხმა მისცეს.

მამუკა კუდავას განცხადებით, საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა ადგილობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

ელჩის განცხადებით, არალეგალები არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

მამუკა კუდავა:

– ეს მიღებული პრაქტიკაა ბევრ ქვეყანაში და ამაში უცნაური არაფერი არ არის. მთავარი ის არის, რომ საელჩოებში ჩატარდეს ჯეროვნად, დილიდან საღამომდე შეუძლიათ ადამიანებს ხმის მიცემა. ვინც მუშაობს, ისინი დილით ან საღამოს ან კი შესვენებაზე მივლენ ხმის მისაცემად.

– რაც შეეხებათ არალეგალებს, როგორც ცნობილია, ისინი არ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას...

– დიახ, ახლა გამკაცრებულია. წინა არჩევნებზე თუ მივიდოდა არჩევნებზე არლეგალურად მცხოვრები პირი, მაგალითად, საფრანგეთში, მაგრამ წარმოადგენდა პირადობის მოწმობას ან პასპორტს, შეეძლო ხმა მიეცა. ახლა ასე აღარ იქნება, რადგან უნდა წარმოადგინოს საცხოვრებელი სახლის მისამართი და ცნობა, ბინადრობის უფლების დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს.

– სამუშაო დღე არ არის პრობლემა ჩვენი მოქალაქეებისთვის?

– არანაირად, ვინც დარეგისტრირდება და ვისაც საბუთები წესრიგში აქვს, ხმას მისცემს.

ამბასადორიალზე ორმხრივი შეხვედრა გაიმართა პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

მინისტრებმა მოგვიანებით ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

– პოლონეთი და შვედეთი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს საქართველოში საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას. – ამის შესახებ საქართველოში ვიზიტით მყოფმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ და შვედეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კარლ ბილდტმა განაცხადეს.

როგორც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა და გაიზარდა პარლამენტის უფლებები. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები იყოს გამჭვირვალე. სიკორსკიმ აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება თუ ოპოზიცია საუბრობს, რომ საქართველოს მთელი სამყარო უყურებს და აქედან გამომდინარე, ქვეყანამ უნდა აჩვენოს გამჭვირვალე არჩევნების მაგალითი და ეს უნდა იყოს ყველაზე კარგი არჩევნები, რომელიც ყოფილა საქართველოში.

როგორც შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა განაცხადა, ამ არჩევნებს 2.000-მდე დამკვირვებელი დააკვირდება, რაც არის ძალიან დიდი რიცხვია. –ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საარჩევნო პროცესის განვითარებას. ბევრი რამ გაკეთდა. არჩევნები არ არის იდეალური, მაგრამ იმედია, რომ ვითარება გაუმჯობესდება და ეს უნდა იყოს იმაზე უკეთესი არჩევნები, ვიდრე ოდესმე ჩატარებულა საქართველოში. ასევე უნდა იყოს უკეთესი, ვიდრე ჩატარებულა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, – განაცხადა ბილდტმა.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით დღეს უფრო კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოა, ვიდრე ეს წინასაარჩევნო პერიოდში იყო და იქვე ხაზს უსვამს დებატებში შინაარსობრივ ასპექტზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობას.

ამბასადორიალის მუშაობა თორნიკე გორდაძემ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა შეაფასა.

– ამბასადორიალი არის გასული წლის ქართული დიპლომატიის შედეგების შეჯამება, ასევე მომავალი გეგმების დასახვა. რაც შეეხება ევროკავშირსა და ნატოს ეს, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია, რომელიც რასაკვირველია ძალაში დარჩება. ეს ამბასადორიალი იმითაც არის გამორჩეული, რომ მნიშვნელოვანი უცხოელი სტუმრები ჩამოდიან, ამბასადორილას მიმართავს ნატოს გენერალური მდივანი. მაღალი რანგის სტუმრების ჩამოსვლა მნიშვნელოვანი იმ კონტექსტშიც თუ გავითვალისწინებთ სექტემბრის ბოლოს დაგეგმილ რუსეთის სამხედრო წვრთნებს. ამ ადამიანების ჩამოსვლა ხაზს უსვამს საქართველოს მიმართ მხარდაჭერას. ისინი მხარს უჭერენ საქართველოს დაახლოებას ევროკავშირთან და ნატოსთან. მე ჩემს გამოსვლაზე ყურადღება გავამახვილე ასოცირების მოლაპარაკების წარმატებით დასრულებაზე, ასევე მოკლე დროში ვიზების, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დასრულებაზე. ეს შეთანხმებები არის მთელი ქვეყნისთვის, თითოეული ადამიანისთვის კონკრეტული მნიშვნელობის შემცველი და კონკრეტული სარგებლის მომტანი. ცნობილი გახდა, რომ შვეიცარული კომპანია, რომელმაც როკის გვირაბზე, ფსოუსა და ლარსზე ტვირთბრუნვის მონიტორინგი უნდა განახორციელებს, უახლოეს ხანში დაიწყებს მუშაობას, – ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, სერგი კაპანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

სერგი კაპანაძის განცხადებით, ტვირთბრუნვის მონიტორინგისთვის შერჩეულია შვეიცარული კომპანია, რომელთანაც კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკებები. –ხელშეკრულება, რომელიც გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან, უკვე ძალაშია, იმიტომ, რომ რუსეთი გახდა ოფიციალურად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. ახლა არის ეტაპი, როდესაც ჩვენ, ისევე, როგორც რუსული მხარე, შვეიცარული მხარის შუამავლობით, ვახორციელებთ ტექნიკური მოლაპარაკებების ბოლო ეტაპს, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

მისივე თქმით, ტექნიკური მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ კომპანია სრულ ფუნქციონირებას დაიწყებს და შეუდგება ტვირთბრუნვის მონიტორინგს. სერგი კაპანაძის განცხადებით, ეს მოხდება უახლოეს ხანებში, თუმცა კონკრეტული თარიღის დასახელება უჭირს.

ქართულ-რუსული შეთანხმება, რომლის შედეგადაც რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, ფსოუზე, როკის გვირაბსა და ლარსზე ტვირთბრუნვის მონიტორინგს გულისხმობდა.

ამბასადორიალზე იმყოფებოდა ამერიკის ახალი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, როგორც რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებს განუცხადა, მოხარულია, რომ კვლავ ესტუმრა საქართველოს.

ახალი ელჩის თქმით, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეების შემდეგ საქართველომ დემოკრატიული ინსტიტუტების აგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

რიჩარდ ნორლანდი, რომელიც 32 წელის დიპლომატიურ სამსახურშია, საქართველოში აშშ-ის მეშვიდე ელჩია.

– ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სიგელები გადმოგვცა და პირველი გაცნობითი შეხვედრა გაიმართა. ელჩი უკვე შეუდგა მუშაობას, უკვე იყო პრეზიდენტთან შეხვედრაზე. ძალიან გამოცდილი დიპლომატია, რამდენიმე ქვეყანაში იყო ელჩი, ბოლოს – უზბეკეთში. ყველა ჩვენი კოლეგა, მათ შორის ბატონი იაკობაშვილი და ჩვენი ელჩი უზბეკეთში გიგი კუბლაშვილი ყველა მას ახასიათებს, როგორც უაღრესად პროფესიონალ, გათვითცნობიერებულ და შესანიშნავად ინფორმირებულ ადამიანს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენი თანამშრომლობა იქნება ისეთივე კარგი და მჭიდრო და ურთიერთსასარგებლო, როგორც იყო ბატონ ბასთან და ბატონ ტეფტთან, – განაცხადა რიჩარდ ნორლანდთან გამართული მოკლე შეხვედრის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საქართველო ყურადღებით არის და ნებისმიერი საფრთხის შემთხვევაში, თავის დაცვას აუცილებლად შეძლებს.

ამის შესახებ ვაშაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის მიერ დაღესტანში დაგეგმილი სპეცოპერაციის კომენტირებისას განუცხადა.

– სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაცია იმ პოლიტიკას არ ატარებს, რომელიც რეგიონში მშვიდობის განვითარებას შეუწყობს ხელს. ანტიტერორისტული ოპერაციებით შეუძლებელია შეწყვიტო ეს პრობლემები, გამომდინარე იქიდან, რომ კოლოსალური კორუფციაა, კოლოსალური უმუშევრობაა და არ არსებობს ნორმალური ჯანდაცვა. საქართველო არის ყურადღებით და ჩვენი ქვეყნის ინტერესებს საფრთხის ქვეშ არ დავაყენებთ. ჩვენი მოსახლეობის და ქვეყნის უსაფრთხოებას აუცილებლად დავიცავთ, – განაცხადა ვაშაძემ. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის განცხადებით, სამხედრო წვრთნები „კავკასია 2012“ საქართველოსთვის დამატებითი წუხილის საგანი არ უნდა გახდეს. როგორც ბილდტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, „როგორც რუსეთი, ისე სხვა ქვეყნები გრაფიკის მიხედვით ატარებენ სამხედრო წვრთნებს. „კავკასია 2012“ გეგმური წვრთნაა, რომელიც გრაფიკის მიხედვით ტარდება და ის საქართველოსთვის დამატებითი წუხილის საგანი არ უნდა გახდეს“.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ თავის მხრივ აღნიშნა, რომ „რეგიონის ყველა ქვეყანა უნდა ცდილობდეს თავისი წვლილი შეიტანოს სტაბილურობის პროცესში, განსაკუთრებით ამ სენსიტიურ დროს, როდესაც საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება“.

# გამოკითხულთა 16% მერაბიშვილის პრემიერობას ეწინააღმდეგება

ნათია ხურცილავა

ენდიაის გამოკითხვის მიხედვით, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ქუჩის საპროტესტო აქციებისკენ ბიძინა ივანიშვილის მოწოდებას რესპონდენტთა 62% მხარს არ დაუჭერს.

კვლევის შედეგების პრეზენტაცია სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გუშინ გაიმართა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევაში შეკითხვის ფორმულირება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა – „ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ის მოუწოდებდა ხალხს საპროტესტო აქციებისკენ. დაუჭერთ თუ არა მხარს ივანიშვილის ამ მოწოდებას?“

კითხვაზე დადებითი პასუხი, ენდიაის გამოკითხვის მიხედვით, მხოლოდ 16%-მა გასცა, პასუხზე უარი თქვა – 4%-მა, კატეგორია „არ ვიცი“ კი შემოხაზა რესპონდენტთა 18 %-მა.

კვლევაში გაზომილია საზოგადოების განწყობა ბიძინა ივანიშვილის გეგმასთან დაკავშირებით. შედეგების მიხედვით, 22% ივანიშვილის გეგმის შესახებ ინფორმირებულია, 66% -ს კი, მის შესახებ არ სმენია.

რაც შეეხება იმას, თუ რომელი საკითხებია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ივანიშვილის გეგმიდან, რესპონდენტთა იმ 22%-დან, ვისაც მის შესახებ სმენია, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა – 23%-სთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილები, 15%-თვის – სოფლის მეურნეობა, 11%-სთვის – სიღარიბე, 6%-სთვის – ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, კატეგორია „არც ერთი“ შემოხაზა 6%-მა. ტერიტორიულ მთლიანობაზე მოდის 5%. იგივე მაჩვენებელი ფიქსირდება კატეგორიაზე „სხვა“.

კითხვაზე, „მხარს უჭერთ თუ არა ივანიშვილის გეგმას?“, – ზემოაღნიშნული 22 პროცენტიდან (ვისაც ივანიშვილი გეგმის შესახებ სმენია) 82% ამ გეგმისადმი დადებითად არის განწყობილი, 11% კი – უარყოფითად.

ენდიაის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მონაწილეობას რესპონდენტთა 77% მიიღებდა.

შეკითხვაზე, ხვალ რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას, შედეგები ასე გადანაწილდა: უარყოფითი პასუხი რესპონდენტთა 23%-მა გასცა, 77% კი – დადებითი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივნისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, არჩევნებში მონაწილეობას რესპონდენტთა 75% აპირებდა, 25% კი – არა.

გამოკითხული რესპონდენტებისგან, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებისადმი დადებითად არიან განწყობილები, 78% მამაკაცია.

კვლევამ ანალოგიური შედეგი აჩვენა საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც. ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, რესპონდენტთა 77% პროცენტი მიიღებდა მონაწილეობას, 23 კი – არა.



ენდიაის პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს 7 სექტემბერს გამოაქვეყნებს.

– პარტიების რეიტინგები საჯარო პარასკევს გახდება, ასე რომ, დაელოდეთ ამ დღეს, – განუცხადა ჟურნალისტებს ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ დღეს, ენდიაიმ მთავარ პოლიტიკურ ძალებს – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებასაც“ მიმართა და მოუწოდა, ხალხს რაც შეიძლება მეტი ესაუბრონ.

როგორც კვლევიდან ჩანს, „ქართული ოცნების“ გეგმების შესახებ ინფორმაცია არ აქვს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. ასევე, ნახევარმა არ იცის ხელისუფლების გეგმების შესახებაც.

– ამიტომ ორივე მხარეს მოვუწოდებდი, უფრო მეტი ისაუბრონ ხალხთან და გააცნონ, რას აპირებენ მომავალში, – აღნიშნა ნავარომ.

კითხვაზე, როგორ ჩატარდება მომავალი საპარლამენტო არჩევნები, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 13% მიიჩნევს, რომ არჩევნები ძალიან კარგად, 47%-ის აზრით, მეტ-ნაკლებად კარგად ჩატარდება, 18%-ს აზრით კი, ნაწილობრივ გაყალბდება. არჩევნების სრულად გაყალბებას კი გამოკითხულთა 3% ვარაუდობს. შეკითხვაზე პასუხების კატეგორია „არ ვიცი“ შემოხაზა 10%-მა.

კითხვაზე, რა არის 3 უმთავრესი დამაბრკოლებელი ფაქტორი სამართლიანი არჩევნებისთვის, გამოკითხულთა 22% ასეთად ამომრჩევლის მოსყიდვას მიიჩნევს, 18%-ის აზრით, ეს დაკავშირებულია ამომრჩეველთა სიებთან, 17% ფიქრობს, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი საარჩევნო ყუთებში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრაა.

რაც შეეხება იმას, რომ ენდიაის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს გარკვეული პო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ახმედ ზაკაევი: ლოპოტას ხეობაში განხორციელებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებულმა კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო“

ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ყოფილი კულტურის მინისტრის და ვიცე-პრემიერის ახმედ ზაკაევის განცხადებით, ლოპოტას ხეობაში ქართველი სამართალდამცავების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის გამოძიებასთან დაკავშირებულმა კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო.



ამის შესახებ ზაკაევმა ტელეკომპანია ,,მეცხრე არხთან“ საუბარში აღნიშნა.

მისი თქმით, კომისიის წევრებმა ფაქტის გამოძიება უკვე დაიწყეს.

,ვესაუბრე ამ კომისიის თავმჯდომარეს, ჩემს მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს. ყოველ შემთხვევაში პროცესი დაწყებულია, ერთმანეთს უკვე დაუკავშირდნენ. შემდეგ როგორ განვითარდება ეს კომუნიკაცია, ამას დრო გვიჩვენებს. ჯერ სამუშაო პროცესია და არ ვიცი, როგორ წარიმართება“-აღნიშნა ზაკაევმა.

მან არ დააკონკრეტა, თუ ვის დაუკავშირდნენ კომისიის წევრები დეტალების გასარკვევად.

,,ამ ყველაფერს აუცილებლად გაიგებთ. კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე, განცხადებას აუცილებლად გავაკეთებთ“ – აღნიშნა ზაკაევმა.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტრო მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე განადგურებულ 11 „დივესანტთა“ შორის ერთ-ერთი ახმედ ზაკაევის ყოფილი პირადი მცველი დუკვახა დუშოევი იყო.

**მედიანიუსი**

# ბიძინა ივანიშვილი: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას 5 წელიწადში ვვარაუდობ“

**ნათია ხურცილავა**

ბიძინა ივანიშვილი სრულიად მოულოდნელად, შეიძლება ითქვას, ყველა ქართველისთვის საოცნებო განცხადებას აკეთებს. მისი გუშინდელი განცხადება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ეხება, რომელიც მას 5-10 წელიწადში წარმოუდგენია.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ დევნილები საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით უკეთეს პირობებში უნდა ცხოვრობდნენ.

ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა აფხაზეთიდან დევნილებთან შეხვედრისას განაცხადა და ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ სამოქმედო პროგრამაც გააცნო. შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთის დაბრუნებისა და დევნილთათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის საკითხი.



– პირველ რიგში, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან რასაც გავაკეთებთ, იმ სახელმწიფო შენობების თქვენთვის სწრაფად დაკანონება იქნება, რომლითაც ახლა სარგებლობთ. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს აღარ ჰქონდეს იმის უფლება, რასაც ახლა სასტუმრო „აფხაზეთში“ აკეთებენ. ეს არის ყველაზე ცოტა და ყველაზე ადვილი, რისი გაკეთებაც თქვენთვის შეგვიძლია. გარდა ამისა, მე დაანგარიშებული მაქვს ყველაფერი და იმისათვის, რომ თქვენ თქვენს სახლებში დაბრუნდეთ, საჭირო იქნება არაუმეტეს 6 მილიარდი დოლარისა. ასაშენებელი იქნება ძალიან ბევრი სახლი, ეზო... გასაშენებელი იქნება ბაღები, ხეხილი. მარტო პოლიტიკური განცხადებები და პოლიტიკური ნება არ უშველის აფხაზეთში დაბრუნებას, ამას ძალიან ბევრი ეკონომიკური დახმარება დასჭირდება. ჩვენს პროგრამაში პრიორიტეტი დევნილები და მათი პრობლემების მოგვარება იქნება. მართალია, ქვეყანაში ყველას უჭირს და ყველას ცხოვრება რთულია, მაგრამ პირველ რიგში, თქვენი პირობები უნდა გახდეს ღირსეული. თქვენ იმდენი გადაიტანეთ და იმდენი დაკარგეთ, რომ თუ თქვენი ცხოვრება გაუმჯობესდება, ვერც ერთი სხვა მოქალაქე ვერ იტყვის, რატომ არიან ჩვენზე უკეთო, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, აფხაზეთში ლტოლვილთა კუთვნილ სახლებში დაბრუნების პროცესს 5-10 წელი დასჭირდება, მანამდე კი საქართველოს ხელისუფლებამ რეალურ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებული ქვეყნის აშენება უნდა მოახერხოს, რათა აფხაზებმა და ოსებმა დაინახონ, რომ საქართველოსთან თანაცხოვრება შესაძლებელია.

# პაველ ფელგენგაუერი: რაც ლაფანყურის ტყეში მოხდა, უფრო სერიოზულ გაუგებრობას ჰგავს“

**ქართველი ძალოვანების მიერ ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე და ჯერაც პასუხგაუცემელი კითხვების სავარაუდო პასუხებზე „ინტერპრესნიუსი“ რუს სამხედრო ექსპერტს, პაველ ფელგენგაუერს ესაუბრა.**




***– ბატონო პაველ, ლოპოტას ხეობაში ქართველი ძალოვანების სპეცოპერაციაზე მართალია, ჯერ სრული ინფორმაცია არ გავრცელებულა, მაგრამ თქვენ როგორ შეაფასებდით იმას, რაც დღესათვის ამ ოპერაციის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უკავშირდება?***

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ორივე მხრიდან ძალების შემთხვევითი შეტაკება იყო. ჯერ არანაირი საფუძველი არა მაქვს მომხდარი შეთქმულების თეორიების რთულ საკითხებს დავუკავშირო. თუმცა, იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლებელი იყო დაპირისპირების თავიდან აცილება, რაც ამჯერად არ მომხდარა. ცნობილია, რომ ქართველი სამხედროები ჩეჩნებთან არ ომობენ. რაც სოფელ ლაფანყურის ტყეში მოხდა, უფრო სერიოზულ გაუგებრობას ჰგავს. შესაძლოა, ასე სულაც არ იყოს, მაგრამ ჯერ არანაირი საფუძველი არა გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მომხდარს სერიოზული ცვლილებები მოჰყვება. მომხდარი გრძელვადიან პერსპექტივაში როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პოლიტიკაში ცვლილებებს არ გამოიწვევს, თუმცა ყველაფერი შესაძლებელია.

***– რას გულისხმობთ? თუ შეიძლება დააზუსტეთ . . .***

– მხედველობაში მაქვს შემდეგი – ეს სამწუხარო ისტორია სწორედ იმას ადასტურებს, რომ საქართველო და რუსეთი ფეთქებადსაშიშ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების საკითხებში უნდა თანამშრომლობდნენ. სამწუხაროდ, ჯერ არანაირი საფუძველი არა გვაქვს მივიჩნიოთ, რომ საქართველოსა და რუსეთის ძალოვანი უწყებები უსაფრთხოების საკითხებში რაიმე ფორმით კოორდინაციაში არიან. მიმაჩნია, რომ ამ საკითხებში საქართველო და რუსეთი უნდა თანამშრომლობდნენ და იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში ასეც იქნება. კავკასიაში გრძელვადიანი უსაფრთხოების საკითხებში რუსეთსა და საქართველოს სერიოზული და საერთო ინტერესები აქვთ. მესმის, რომ ახლა ამ ქვეყნებს შორის არანორმალური ვითარებაა, ასე ალბათ რამოდენიმე ხანი კიდევ იქნება, მაგრამ სულ რომ ასე არ შეიძლება იყოს, რასაც ადრე თუ გვიან მხარეები მიხვდებიან.

***– ლიკვიდირებულთა შორის არიან საქართველოს მოქალაქეებიც. ჯერ გაურკვეველი რჩება, რა მიზანი ჰქონდა ამ შეიარაღებულ ჯგუფს. სხვათა შორის, ისიც გაურკვევლია, როგორ აღმოჩნდა ეს ჯგუფი თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის ტყეში, ლოპოტას ხეობაში. თქვენი აზრი როგორია?***

– სადაც შეტაკება მოხდა, არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი, რომელზეც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო დივერსიული აქტის მოწყობა. მე მაინც მგონია, რომ არც ერთ მხარეს ერთმანეთთან დაპირისპირება არ უნდოდა და, რაც მოხდა, ორივე მხრიდან უფრო შემთხვევითობა იყო.

***– როგორც გაირკვა, დაღუპულთა შორის აღმოჩნდა ახმედ ზაკაევის ყოფილი მცველი დოშუევი. თქვენი აზრით, როგორ მოხვდა ის იქ და რა ვერსია გაქვთ საქართველოში მის აღმოჩენასთან დაკავშირებით?***

– არ ვიცი და ვერსიის გამოთქმაც მიჭირს.

***– მისი ყოფილი მცველის საქართველოში ყოფნა გაუკვირდა თავად ზაკაევსაც. ამ საკითხზე მის მიერ გავრცელებულ კომენტარში ნათქვამია – „გაკვირვებას იწვევს დოშუევის საქართველოში ყოფნა“. ლონდონში მყოფმა ჩეჩნეთის დევნილმა მთავრობამ მომხდარის შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა და მზად არის, ითანამშომლოს ქართველ სამართალდამცავებთან. ზაკაევის თქმით, თუ ქართველი სამართალდამცავები მათ კომისიასთან არ ითანამშრომლებენ, მათ საკმარისი რესურსი აქვთ საქართველოში გაიგონ, რეალურად რა მოხდა. თქვენი შეფასებით, რას შეიძლება ნიშნავდეს ზაკაევის განცხადება?***

– ზაკაევის განცხადება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მომხდარი არასასიამოვნო შემთხვევითობა და შემთხვევითი ტრაგედიაა. ჩრდილოეთ კავკასიელ „ბოევიკებს“, რომლებიც რუსეთთან არიან დაპირისპირებულნი, საქართველოსთან დაპირისპირება მათ ინტერესში არანაირად არ შედიოდა.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს განცხადება ანაც კავკასიის ემირატის მიერ გავრცელებული მუქარის შემცველი განცხადება გაართულებს ვითარებას?***

– ემირატი ქსელური სტრუქტურაა და სულაც არა არის გამორიცხული, რომ მათ საქართველოში მკვლელობა ანაც დივერსიული აქტის მოწყობა გადაწყვიტონ. მაგრამ, არა ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ასეთ გადაწყევტილებას მიიღებენ. ისე, იმის გამო, რომ ისინი ყოველთვის გონივრულ გადაწყვეტილებებს არ იღებენ და არაპროგნოზირებადნიც არიან, მათგან გამორიცხული არაფერია. თუმცა, მათ ისიც კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ამგვარი განცხადებებით ისინი მტრებს იმრავლებენ და საქართველოსა და რუსეთს ერთმანეთთან აკავშირებენ.

***– რამდენად საფუძვლიანი შეიძლევა იყოს ვარაუდი, რომლის თანახმადაც, საქართველოში მომხდარი სირიის ოპოზიციისთვის მხარდამჭერთა მორიგ რეკრუტირებას და ამ ჯგუფის სირიაში შესაძლო გამგზავრებას უკავშირდება?***

– თუ მათ სირიაში მოხვედრა უნდოდათ, გაუგებარია, რა უნდოდათ რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაღესტნის მონაკვეთთან არსებულ ტყეებსა და მთებში. იქიდან სიარიში მოხვედრა ხომ უფრო რთულია. თუ დავუშვებთ, რომ მათ გეგმებში სირიაში მოხვედრა იყო, მათ შეეძლოთ, თბილისიდან თეირანში ჩაფრენა, მანქანით ჩასვლა ანაც საქართველოდან თურქეთში მოხვედრა და შემდეგ სირაიში ჩასვლა. საქართველოდან სირიაში მათი მარშრუტი დამოკიდებული იმაზე იქნებოდა, თუ ვის მხარეს აპირებდნენ ისინი ბრძოლას – ასადის, თუ ასადის ოპოზიციის. თუ მათ სირიაში ოპოზიციის მხარეს ბრძოლა უნდოდათ, საკმარისი იყო, თურქეთში ჩასულიყვნენ; თუ ასადის მხარდამჭერები იყვნენ, სოფელ ლაფანყურის ტყეში კი არა, თეირანში უნდა აღმოჩენილიყვნენ. ამისათვის მათ თან არც იარაღის ტარება არ მოუწევდათ, ვინაიდან სირიის ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც იმდენი იარაღი აქვს, აქედან იარაღის ტარება სულაც არ იქნებოდა საჭირო.

***– შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ოპერაციის ჩატარებისას ქართველი და რუსი ძალოვნები ერთმანეთთან გარკვეულ დონეზე თანამშროლობდნენ?***

– სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავთ. ის, რომ ამ ოპერაციის მიმდინარეობისას ორი ქვეყნის ძალოვან უწყებებს შორის არანაირი კოორდინაცია არ იყო, ეს კარგი სულაც არაა.

***– ბრიტანელი ექსპერტის, თომას დე ვაალის მტკიცებით, ოფიციალურ რუსეთი მომხდართან დაკავშირებით იმიტომ დუმს, რომ „არ სურს, საქართველოს ხელისუფლებას მადლობა გადაუხადოს მისი საქმის გაკეთების გამო.“ რამდენად საფუძვლიანია ექსპერტ ვაალის მტკიცება?***

– ვეთანხმები, მისი ვარაუდი საფუძველს მოკლებული სულაც არ არის. რუსეთი და საქართველო არ მეგობრობენ, მაგრამ ფაქტობრივად ისინი მოკავშირეები გამოდიან. ეს გახლავთ ის, რაზეც მე უკვე ვისაუბრე. პრინციპში, საქართველოსა და რუსეთს კავკასიაში უსაფრთხოების საკითხებში საერთო ინტერესები აქვთ და ერთმანეთთან უნდა თანამშრომლობდნენ. ამისთვის კი, საჭიროა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემების გადაწყვეტა. საქართველო და რუსეთი არა მარტო მეზობლები, არამედ შეიძლება კეთილი მეზობლები იყვნენ. მათ საერთო ინტერესები და საერთო პრობლემები აქვთ.

***– ბევრმა რუსეთის მიერ სამხედრო სწავლება „კავკასია 2012“-ის ფარგლების შემცირება ქართული მხარის მიერ წარმატებულად ჩატარებულ სპეცოპერაციას დაუკავშირა. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– გავეცანი სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. მასში ნათქვამი იყო, რომ – „რუსეთს არ უნდა, შეაშონოს საქართველო.“ რამდენადაც ვიცი, იქ პრაქტიკულად არაფერი არ შეცვლილა, უბრალოდ „კავკასია-2012“-ის ფარგლებში ძირითადად საშტაბო-სამეთაურო სწავლებები მიმდინარეობს. გარდა ამისა, ტაქტიკური სწავლებები სწორედ იქ მიმდინარეობს, სადაც დაგეგმილი იყო. ჩემი აზრით, რუსული მხარის განცხადება საკმაოდ უჩვეულოდ და შემაშინებლად გამოიყურება. არ ვიცი, ამ განცხადებაში რა უფრო მეტია, საქართველოს არშეშინების, თუ დეზინფორმირების სურვილი.

***– უნგრეთის სასამართლომ სომეხი ოფიცრის მკვლელობისთვის ციხეში მყოფი აზერბაიჯანელი ოფიცერი საფაროვი იმ პირობით გაანთავისუფლა, რომ მას დარჩენილი ვადა სამშობლოში უნდა მოეხადა, მაგრამ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა იგი არა მარტო შეიწყალა, არამედ სამხედრო წოდებაც უბოძა. ამის შემდეგ სომხეთის პრეზიდენტმა სარგსიანმა განაცხადა – სომხეთი ომისთვის მზად არის. რამდენად დიდია ამ ორ ქვეყანას შორის საომარი მოქმედებების განახლების ალბათობა?***

– სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მართლაც რთული ვითარებაა. ამ ზაფხულში მიმდინარეობდა ბრძოლები, რასაც ორივე მხრიდან საკმაოდ დიდი მსხვერპლიც მოჰყვა. ამ ქვეყნებს შორის დღემდე არ არსებობს უსაფრთხოების ზონები, არ დგანან საერთაშორისო დამკვირებლები. ვითარების ესკალაცია ყოველთვის შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ საომარი რიტორიკა ორივე ქვეყანაში მატულობს. თუმცა, მაინც არა მგონია, რომ საქმე საომარი მოქმედებების განახლებამდე მივიდეს.

***– თქვენი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სირიაში ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა, რამდენად დიდია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გააქტიურების ალბათობა?***

– ყარაბაღის კონფლიქტის გამო სამხრეთ კავკასიაში საკმაოდ გართულებული ვითარებაა. მოახლოებული არჩევნების გამო პრაქტიკულად რთული ვითარებაა საქართველოშიც. აზერბაიჯანისა და სომხეთის შეირაღებული ძალები პრაქტიკულად საბრძოლო მზადყოფნაში არიან მოყვანილი. სანამდე მიგვიყვანს არსებული ვითარება – სიტუაციის შემდგომ გამწვავებამდე, თუ არსებული ვითარების შენარჩუნებამდე, ზამთრის დადგომამდე გაირკვევა.

რაც შეეხება სირიასა და იმას, სავარაუდოდ, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთი სირიაში ვითარების კიდევ უფრო გამწვავების შემთხვევაში. თუ სირიის ტერიტორიაზე შეიქმნება უსაფრთხოების ზონები, რაზეც თურქეთი და აშშ შეთანხმების მიღწევას ფარულად ცდილობენ და, რაშიც მათ მხარს დასავლეთი დაუჭერს, რეგიონში უსაფრთხოებას საფრთხე მართლაც დაემუქრება. ოფიციალური თეირანი თითქმის ყოველ დღე აცხადებს, რომ არ დაუშვებს ასადის რეჟიმის დაცემას. სირიაში უსაფრთხოების ზონების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების შემთხვევაში სირიაში ომის დაწყება გარდაუვალი იქნება. ასეთი ვითარება რომ კავკასიაზე აისახება, სულ უფრო ცხადი ხდება. თუ როგორ, ამაზე საუბარი ახლა საკმაოდ ძნელია.

**ინტერპრესნიუსი**

# რატომ დაბრუნდა ნანა დევდარიანი პოლიტიკაში

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ნანა დევდარიანთან



***— ქალბატონო ნანა, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ფონი მით უფრო იძაბება. ხელისუფლების აგრესია და ძალადობა მით უფრო აშკარა ხდება. როგორია თქვენი თვალით დანახული წინა საარჩევნო პერიოდი?***

— ჩვენი ხელისუფლება თვითონ ამწვავებს ამ ყველაფერს გასული წლის ოქტომბრიდან და მთელი წლის განმავლობაში ეს დაძაბულობა სულ უფრო მატულობს. ჯერ მარტო შეხედეთ, იმის მაგივრად, რომ პოზიტიური შემოთავაზება ჰქონდეთ, უშვებენ ანტირეკლამას, რომელშიც პირდაპირ ხელს ადებენ ბიძინა ივანიშვილს, რომ მათ წარსულის დაბრუნება უნდათ, საბჭოთა კავშირში დაბრუნება უნდათ და ა. შ. რა თქმა უნდა, ეს ღია ძალადობა არ არის და ქვის სროლა, მაგრამ ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძაბავს სიტუაციას, უკურეაქციას იწვევს ადამიანებში და ხდება ამ ორი ბანაკის პოლარიზაცია. სწორედ ამაზე ლაპარაკობდა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, რომ არის სიძულვილის თემა, რომ არის ნამდვილი ლენინიზმი. მართალია ნაციონალები ცდილობენ, რომ ლენინიზმში ბრალი დასდონ ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ლენინიზმის პრინციპებს ახორციელებენ ეგენი თავიანთი ხელისუფლებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შედარებით ცოტა გამოცოცხლდა საერთაშორისო თანამეგობრობა. ვნახოთ, რას იზამს ეს ვიზიტები, ერთდროულად ჩამოდიან ამერიკელი სენატორები, რასმუსენი, სხვები და სხვები. იქ, ეშტონის და ფულეს განცხადება იყო. ანუ აქტივიზაცია იგრძნობა. როგორც ჩანს, შეშფოთება არის იმ ვითარებით, რაც არის საქართველოში. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა, რომ ყველა შენიშვნა თურმე ოპოზიციას ეხება, მათ გულის სიღრმეში თვითონაც მშვენივრად იციან, რომ ეს პირველ რიგში სწორედ ხელისუფლების კრიტიკაა და ხელისუფლებას უთითებენ იმაზე, რას არ უნდა აკეთებდეს.

***— ასევე მინდა გკითხოთ ენდიაის კვლევების შესახებ, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა. წინა კვლევებისგან განსხვავებით, ამჟამად ისევ ხელისუფლების მხარდასაჭერი კვლევები დაიდო...***

— ტრადიციულად ენდიაის სოციოლოგიურ კვლევებს მე პირადად არ ვენდობი და საზოგადოების დიდი ნაწილიც არ ენდობა. არ არის ცნობილი რა მეთოდოლოგიაა, საველე სამუშაოებს ვინ ასრულებს და ასე შემდეგ. ჩემთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მათ შეფასებას, რაც გუშინწინ იყო, ვიდრე იმას, რა ციფრები დაიდება კვლევის შედეგად. იმიტომ, რომ კვლევები უკვე კარგა ხანია დისკრედიტირებულია და ის, რომ ენდიაი იძულებული გახდა ორივე მხარისთვის მიეთითებინა, ეს გარკვეული პროგრესია, თუნდაც იმიტომ რომ ადრე ცალსახად მხოლოდ ხელისუფლების მხარდამჭერ პოზიციას იჩენდნენ.

***— ქალბატონო ნანა, თქვენ ბოლო მომენტში გადაწყვიტეთ დაბრუნებულიყავით პოლიტიკაში და არჩევნებში მიგეღოთ მონაწილეობა, ეს რამ განაპირობა?***

— პირველ რიგში, იმან, რომ არ მოხდა ოპოზიციის გაერთიანება. რაც ოცნებაში არსებული ზოგიერთი ძალის სუბიექტურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი: ამ ცალსახად დასავლეთსა და ნატოზე ორიენტირებულ პოზიცია-ოპოზიციაში ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ კომუნიზმის ჰორიზონტად ქცეული ნატო საქართველოს ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს, კახა კუკავაა. ძალიან ეცადნენ ჩვენი პროამერიკული ხელისუფლება და ოპოზიციის დიდი ნაწილი რუსეთთან ურთიერთობის თემის მარგინალიზებას, მაგრამ კახა კუკავა ამ ხელოვნურ და საქართველოსთვის საზიანო ტენდენციას არ შეეპუა. ეს მიზეზიც კმარა, რომ მას მხარი დავუჭირო და ყველაფერში დავეხმარო. პარლამენტში უნდა იყოს წარმოდგენილი ძალა, რომელიც ეროვნულ და მართლმადიდებლურ ფასეულობებს ამკვიდრებს.

# პრეზიდენტმა ელჩებს საზღვარგარეთ ქართული ღვინის გაყიდვების ხელშეწყობა დაავალა



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყვარელში, ახალგახსნილ ქარხანაში ყურძნის ჩაბარების პროცესს დაესწრო. პრეზიდენტი ადგილობრივებსაც გაესაუბრა და ყურძნის ჩაბარების პირობებით დაინტერესდა. სააკაშვილის განმარტებით, კახეთის რეგიონში მსგავსი ქარხნების გახსნა მნიშვნელოვანია, აღნიშნული საწარმო კი, ყვარელს „ჰაერივით სჭირდებოდა".

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ ეტაპზე ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი უცხოეთის ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაციაა, ამ მიზნით კი, მან საქართველოს ელჩებს საზღვარგარეთ ქართული ღვინის გაყიდვების ხელშეწყობა დაავალა.

„როგორც კი მდიდარ ქვეყნებში ხალხი ჩვენს ღვინოს დააგემოვნებს, არ არსებობს, რომ მისი ფასი არ გაიზარდოს. ჩემი მიზანია, უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში ყურძნის ფასი 2 ლარი გახდეს" — განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ ღვინის პოპულარიზაციასა და რეკლამაში ქვეყანას გარკვეული თანხების ჩადება დასჭირდება. პრეზიდენტმა ადგილობრივებს ხელისუფლების გეგმაც გააცნო, რომელიც საქართველოში შემომსვლელი ტურისტებისთვის აეროპორტში საჩუქრად 1 ბოთლი ქართული ღვინის გადაცემას გულისხმობს.

მისივე თქმით, ყურძნის ჩამბარებელი ქარხნის გახსნის პარალელურად ვენახებიც უნდა გაშენდეს. ყვარელში მდებარე აღნიშნულმა ქარხანამ ფუნქციონირება ორი დღის წინ დაიწყო. ის „თბილღვინომ" საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან ერთად ააშენა.

**ნიუსპრესი**

# ტელეკომპანია მეცხრე არხი" საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ქმნის

დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მეცხრე არხის" ხელმძღვანელობამ დღეს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ განცხადება გააკეთა.

მრჩეველთა საბჭო ხუთი წევრისგან შედგება: ლეს გელბი, საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს საპატიო პრეზიდენტი, გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის" საერთაშორისო კორესპონდენტი და სარედაქციო გვერდის რედაქტორი; ლი ჰამილტონი, ყოფილი კონგრესმენი, 11 სექტემბრის კომისიის თანათავმჯდომარე და „ვუდროუ ვილსონის ცენტრის" ყოფილი პრეზიდენტი; . ლარი კინგი, სი-ენ-ენ-ზე „ლარი კინგის შოუს" წამყვანი და ქველმოქმედი; . გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი;. რობერტ მენარდი, ფრანგი ჟურნალისტი და პრესის თავისუფლების საერთაშორისოდ აღიარებული დამცველი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ტელეკომპანია „მეცხრე არხის" გენერალურმა დირექტორმა კახა ბექაურმა განაცხადა: „ტელეკომპანია „მეცხრე არხის" მენეჯმენტი და თითოეული თანამშრომელი მოხარულია, რომ არხის მრჩეველთა საბჭოში ესოდენ გამორჩეული ადამიანები, საერთაშორისო ჟურნალისტები, მაღალი რანგის ყოფილი სახელმწიფო მოხელეები და ადამიანის უფლებათა დამცველები შევიდნენ. „მეცხრე არხი" ეყრდნობა მრჩეველთა საბჭოს წევრებს, რათა მათ უზრუნველყონ და დაიცვან არხის სარედაქციო დამოუკიდებლობა, დაეხმარონ „მეცხრე არხს" გაამყაროს საქართველოში პრესის თავისუფლება და დაიცვას დამოუკიდებელი აზრის თუ შეხედულების გამოხატვის უფლება."

კომენტარები გააკეთეს საბჭოს წევრებმაც.

„მეამაყება, რომ „მეცხრე არხის" მრჩეველთა საბჭოს წევრი გავხდი. როგორც ჟურნალისტისა და მედიაკომენტატორისთვის, ჟურნალისტთა უფლებების დაცვა, პრესის თავისუფლების უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების დაცვა მსოფლიოს მასშტაბით ჩემი კარიერის ქვაკუთხედს წარმოადგენს. „მეცხრე არხი", როგორც ნებისმიერი სხვა, ახალი, დამოუკიდებელი ახალი ამბების გამავრცელებელი ორგანიზაცია, აწყდება უპრეცედენტო გამოწვევებს საქართველოს ხელისუფლებისგან, რაც ხელს უშლის მის მისიას — ემსახუროს საქართველოს მოსახლეობას, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი საინფორმაციო და მედიაწყარო. მისი ახალგაზრდა და იდეალისტური პერსონალი იმსახურებს იმ ამერიკელებისა და ევროპელების მხარდაჭერას, რომლებიც მათ მისიას იზიარებენ", — აღნიშნა ლარი კინგმა:

ლი ჰამილტონი, ყოფილი კონგრესმენი: „მე, როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენების გრძელვადიანი დამკვირვებელი, საკმაოდ მაშფოთებს მთავრობის მიერ დამოუკიდებელ მედიაზე განხორციელებული ზეწოლა და ყოველგვარი ის ძალადობა, რაც თავისუფალი პრესის განვითარებასა და მოქალაქეების მიერ თავისუფალი აზრის გამოხატვას ზღუდავს. „მეცხრე არხი" წარმოადგენს ახალ, მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ ხმას, რომელიც იცავს საქარველოს მოსახლეობის უფლებებს. მოუთმენლად ველი ჩემს კოლეგა-საბჭოს წევრებსა და „მეცხრე არხის" ხელმძღვანელობასთან მუშაობას, რომლის მთავარ მიზანს თავისუფალი სიტყვისა და აზრის დაცვა წარმოადგენს."

ლეს გელბი, საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს საპატიო პრეზიდენტი, გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის" საერთაშორისო კორესპონდენტი და სარედაქციო გვერდის რედაქტორი: „თავის დროზე ამერიკელი ხალხი ვარდების რევოლუციის პრინციპებსა და იდეალებს — ქართველ ხალხს ეცხოვრა სიმშვიდეში და თავი დაცულად ეგრძნო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში — სიტყვით და საქმით მხარს უჭერდა. როგორც ჟურნალისტი, ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამ საქართველოს მთავრობის მიერ დემოკრატიული ღირებულებებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ხელყოფის გამო. ტელეკომპანია „მეცხრე არხი" დამოუკიდებელი და თავისუფალი საინფორმაციო საშუალებაა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ემსახურება. როგორც ტელეკომპანიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მხარს ვუჭერ მედიის თავისუფლებას საქართველოში."

რობერტ მენარდი, ფრანგი ჟურნალისტი და პრესის თავისუფლების საერთაშორისოდ აღიარებული დამცველი: „მთელი ჩემი პროფესიული მოღვაწეობა მსოფლიოს მასშტაბით თავისუფალი მედიის დაცვას დავუთმე. ტელეკომპანია „მეცხრე არხი" წარმოადგენს კეთილ ინიციატივას, რომელიც ცდილობს, საქართველოს მოსახლეობას შესთავაზოს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ინფორმაციისა და ახალი ამბების წყარო. თუმცა, წმინდა პოლიტიკური მოტივებით, ქვეყნის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ტელეკომანია „მეცხრე არხს" მიზნების განხორციელებაში. გადაწყვეტილება, გავმხდარიყავი ამ საბჭოს წევრი, განაპირობა ჩემმა სურვილმა გლობალური ყურადღება მომეზიდა იმ გამოწვევებზე, რომელსაც „მეცხრე არხი" აწყდება მის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ხელისუფლების მხრიდან."

**მედიანიუსი**

# გამოკითხულთა 16% მერაბიშვილის პრემიერობას ეწინააღმდეგება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ლიტიკური ძალები უნდობლობას უცხადებენ, ნავაროს თქმით, „სოციოლოგიური კვლევით ერთი მხარე ყოველთვის კმაყოფილი, მეორე კი — უკმაყოფილო რჩება".

— რატომ არ ენდობიან ჩვენს ორგანიზაციას, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. ჩვენი მეთოდოლოგიის გასაჯაროებას ყოველთვის ვახდენთ, ისე როგორც მუდმივად ვაცხადებთ, ვინ იხდის ფულს კვლევაში, — განუცხადა ნავარომ ჟურნალისტებს.

ენდიაის კვლევის მიხედვით, ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას რესპონდენტთა 63% ეთანხმება.

გამოკითხულთა 16% მერაბიშვილის პრემიერობას ეწინააღმდეგება, 3%-მა შეკითხვაზე უარი განაცხადა, 18 %-მა კი — პასუხი არ იცის. ამასთან, გამოკითხულთა 52%-ის აზრით, ვანო მერაბიშვილის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნის შედეგად პრემიერ-მინისტრის როლი უფრო გაძლიერდება, 2% ფიქრობს, რომ დასუსტდება, 15%-ის პოზიციით კი, არ შეიცვლება.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში რესპონდენტთა გამოკითხვა მოხდა მთავრობის 4– წლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებითაც. ამ გეგმის შესახებ რესპონდენტთა 47% ინფორმირებულია, 46%-ს კი მის შესახებ არაფერი სმენია.

კითხვაზე, მერაბიშვილის გეგმიდან რომელი საკითხია თქვენთვის მნიშვნელოვანი, პასუხები რესპონდენტთა 47%-დან, ვინც გეგმის თაობაზე ინფორმირებულია, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 26% მიიჩნევს, რომ ეს არის 1 000-ლარიანი ვაუჩერი ყველა ოჯახს, 20%-ის აზრით, სამუშაო ადგილები, 19% — სოფლის მეურნეობა, 6% — ტერიტორიული მთლიანობამ 4% — სიღარიბე, ხოლო კატეგორია „სხვა" შემოხაზა რესპონდენტთა 7%-მა.

რაც შეეხება მთავრობის 4-წლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მოსახლეობის განწყობას, რესპონდენტთა 85% მას მხარს უჭერს, უარყოფითად კი — 9%-ია განწყობილი.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მონაწილეობას რესპონდენტთა 77% მიიღებდა.

შეკითხვაზე, ხვალ რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას, შედეგები ასე გადანაწილდა: უარყოფითი პასუხი რესპონდენტთა 23%-მა გასცა, 77% კი — დადებითი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივნისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, არჩევნებში მონაწილეობას რესპონდენტთა 75% აპირებდა, 25% კი ა – რა. ამასთან, გამოკითხული რესპონდენტებისგან, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებისადმი დადებითად არიან განწყობილები, 78% მამაკაცია. კვლევამ ანალოგიური შედეგი აჩვენა საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც. ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, რესპონდენტთა 77% პროცენტი მიიღებდა მონაწილეობას, 23 კი — არა.

# ზურაბ ხარატიშვილი: საპარლამენტო არჩევნების თარიღის შეცვლის იურიდიული საფუძველი არ არსებობს"



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნების თარიღის შეცვლის იურიდიული საფუძველი არ არსებობს.

„მედიანიუსთან" საუბრისას იგი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ხმის მიცემის შესაძლებლობა 29 ან 30 სექტემბერს უნდა მიეცეთ. ამის მიზეზად ისინი იმ გარემოებას ასახელებენ, რომ პირველი ოქტომბერი სამუშაო დღეა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს საარჩევნო უბნებზე მისვლა გაუჭირდებათ.

ხარატიშვილის განმარტებით, საპარლამენტო არჩევნების თარიღად 2012 წლის პირველი ოქტომბერი განსაზღვრულია პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის შესაბამისად.

„ერთადერთი შემთხვევა, როცა ცესკოს არჩევნების თარიღის განსაზღვრა შეუძლია, ეს არის უცხოეთში სამხედრო ნაწილების საჯარისო ნაწილებისთვის ხმის მიცემის თარიღის დადგენა, რომლის უფლებამოსილება პირდაპირ კანონით გვეძლევა და, ზოგადად, არის შემთხვევები, როცა შეუძლებელია თარიღებისა და პროცედურების დაცვა. სხვა თარიღზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება", -– აღნიშნა ზურაბ ხარატიშვილმა.

მისი მოსაზრებით, პირველ ოქტომბერს, ანუ სამუშაო დღეს კენჭისყრაზე მისვლა შეუძლებელი არ არის. ამიტომ ამ თარიღის შეცვლის რეალური საფუძველი არ არსებობს.

„მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არჩევნები ბევრ ქვეყანაში სამუშაო დღეს ტარდება", -– აღნიშნა ზურაბ ხარატიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის არჩევნების თარიღის შეცვლის თხოვნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართეს. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ამ ინიციატივის მიზანი საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტური საარჩევნო უფლების განხორციელებაა.

„ჩვენ, ადამიანის უფლებათა დამცველები, მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის ("გამონაკლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა ამ კანონთ დადგენილი გარკვეული მოთხოვნის შესრულება/ვადების დაცვა, უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს ჩასატარებელი არჩევნების/გასამართი კენჭისყრის საარჩევნო ღონისძიებები და ვადები") საფუძველზე, გამოავლინოთ კეთილი ნება და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტური საარჩევნო უფლების განხორციელების მიზნით და მისცეთ შესაძლებლობა, რათა მათ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ არა ორშაბათს, პირველ ოქტომბერს, არამედ 29 ან 30 სექტემბერს — უქმე დღეს", -– აღნიშნულია მიმართვაში, რომელსაც 32 ადამიანი აწერს ხელს.

**მედიანიუსი**

# დაღესტანში იარაღით მოვაჭრე ჩეჩენი დააკავეს

დაღესტნის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ჩეჩნეთში მცხოვრები პირი დააკავეს. მისი კუთვნილი ავტომობილის შემოწმების შედეგად პოლიციელებმა იარაღი და საბრძოლო საშუალებები აღმოაჩინეს. გაირკვა, რომ მფლობელი იარაღის გაყიდვას აპირებდა. იარაღის მფლობელი უკვე დაკავებულია და აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრული.

„ვესტი.რუს“ ცნობით, ამავე დღეს დაღესტანში ფედერალურ მაგისტრალზე უცნობმა პირმა იარაღიდან პოლიციის ორ თანამშრომელს ესროლა და მიიმალა. პოლიციელებმა დამნაშავეს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. პოლიციელებს შორის დაშავებულები და დაღუპულები არ არიან. დამნაშავეს კი შემთხვევის ადგილას საკუთარი ზურგჩანთა დარჩა, რომლის დათვალიერებისას პოლიციელებმა სხვადასხვა ტიპის იარაღი აღმოაჩინეს. პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით ასევე სისხლის სამართლის საქმე აღძრული.

– დაღესტნის უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი – 47 წლის რამადან კადიევი, მოკლული და დამარხული იპოვეს საკუთარი სააგარაკო სახლის ნაკვეთში, იუწყება რესპუბლიკური საინფორმაციო სააგენტო „დაღესტანი“ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ადგილობრივი ქვედანაყოფის მონაცემებზე დაყრდნობით.

როგორც ცნობილი გახდა, კადიევი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 19 ივლისიდან. მისი დამარხული გვამი სააგარაკო ნაკვეთში გუშინ იქნა აღმოჩენილი. ძალოვანების განცხადებით, მკვლელობის გარემოებებისა და მოტივების დადგენის მიზნით შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების კომპლექსურ ღონისძიებებს. მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

რუსეთის სპეცსამსახურებს დაღესტანში დაახლოებით ათამდე ბანდიტური ჯგუფიდან ასამდე აქტიური ბოევიკი უპირისპირდება, – იტყობინება საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტი“ რუსეთის ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე ვიქტორ ორლოვზე დაყრდნობით.

ორლოვის განცხადებით, დაღესტანში მოქმედებს ათამდე იატაკქვეშა შეიარაღებული ფორმირება, რომელთაგან თითოეულ მათგანში 10-12 ადამიანი იმყოფება – ასეთ ჯგუფს კი „ძალუძს ნებისმიერი დანა-



შაულის ჩადენა“. ამასთან ორლოვი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „დაღესტანში აქტიური ბოევიკებისა და მათ ხელშემწყობთა ზუსტად დათვლა საკმაოდ რთულია“.

შეგახსენებთ, რომ 2011 წელს დაღესტანში აქტიური ბოევიკების რაოდენობა 2 ათას ადამიანს აღწევდა. ასეთ სტატისტიკას მაშინ რუსული გამოცემა „არგუმენტი.რუ“ ავრცელებდა ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის ოფიციალურ წარმომადგენელზე დაყრდნობით: „ჩვენი მონაცემებით, დაღესტანში მოქმედებს რამდენიმე ჯგუფი საერთო ოდენობით 1,5 –დან 2 ათასამდე აქტიურ ბოევიკამდე. მათ ჰყავთ საერთო სტრატეგიული მეთაურობა და აქვთ კარგი კავშირი ტაქტიკურ რგოლში. ბოევიკები განსაკუთრებით აქტიურები არიან მსხვილ დასახლებულ პუნქტებში: მაჰაჩყალა, ყიზლარი, დერბენტი, ასევე შორს მდებარე მთაგორიან რაიონებში“.

# შეწყალებული მკვლელის მკვლელობა იგეგმება?

აზერბაიჯანის ხელისუფლება სომეხი ოფიცრის გურგენ მარგარიანის მკვლელობაში ბრალდებული რამილ საფაროვის ლიკვიდაციას აპირებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სომხური სააგენტო „ერკამაც“ ყარაბაღის ომის ვეტერანის, გენერალ-მაიორ არკადი თადევოსიანის კომენტარს ავრცელებს, რომელიც განმარტავს, რომ რამილ საფაროვმა უკვე შეასრულა საკუთარი როლი და ახლა აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის მხოლოდ თავის ტკივილს წარმოადგენს.



თადევოსიანი დარწმუნებულია, რომ ილხამ ალიევის მომავალ გეგმებში საფაროვი მიცვალებულის როლს ასრულებს. ის ასევე განმარტავს, რომ საფაროვის მთელი ისტორია, დაწყების დღიდან, ერთი დიდი თამაშის ნაწილი იყო, რომელიც თურქულ-აზერბაიჯანულმა ალიანსმა შეიმუშავა.

– აზერბაიჯანს აქვს მიზანი, განაახლოს საომარი მოქმედებები ყარაბაღში. ამდენად, საფაროვის მთელი ეს ისტორია ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებული გეგმის ნაწილია. ომის თეორიის მიხედვით, საომარი მოქმედების დასაწყებად აუცილებელია სამი რამის უზრუნველყოფა: ძლიერი არმია, ქვეყნის ხელისუფლებისადმი მაღალი ნდობის უზრუნველყოფა და საზოგადოების მზადყოფნა. საფაროვის როლი ამ გეგმაში სწორედ ბოლო ორი ელემენტის შესრულებაში მოიაზრება, – განაცხადა თადევოსიანმა.

ის მიიჩნევს, რომ საფაროვის ექსტრადიციით ალიევმა თეორიის მეორე ელემენტი უზრუნველყო – აამაღლა საკუთარი იმიჯი, დაანახა საზოგადოებას, რომ არა მარტო იძლევა დაპირებებს, არამედ ასრულებს კიდეც მათ. თადევოსიანი განმარტავს, რომ ახლა რჩება მესამე ნაწილის განხორციელება – საზოგადოების მომზადება. ამისთვის კი საფაროვის სიკვდილია საჭირო!

– საფაროვის მოკვლა იგეგმება. შემდეგ ამ მკვლელობისთვის სომხური გვარის ადამიანს დაიჭერენ. განაცხადებენ, რომ ეს პიროვნება მოქმედებდა სომხეთის ხელისუფლების მითითებებით და მათი მოგზავნილი იყო, – განაცხადა თადევოსიანმა და დასძინა, რომ აღნიშნულ ნაბიჯს ორმაგი შედეგი ექნება: ერთი მხრივ, აზერბაიჯანულ საზოგადოებას მოუნდება შური იძიოს ამ მკვლელობისთვის და მზად იქნება საომარი მოქმედებებისთვის; მეორე მხრივ კი, სომხურ მხარეს დაადანაშაულებენ ტერორიზმსა და აზერბაიჯანში შემოჭრაში, ამით მოიპოვებენ გასასამართლებელ მიზეზს საომარი მოქმედების განახლებისთვის საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.

შეგახსენებთ, რომ 35 წლის რამილ საფაროვი, რომელიც უნგრეთში ნატოს 2004 წლის სამხედრო სწავლებაში მონაწილეობდა, სომეხი ოფიცრის გურგენ მარგარიანის მკვლელობაში იყო ბრალდებული. ბუდაპეშტის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საფაროვს სამუდამო პატიმრობა, 30 წლის განმავლობაში შეწყალების უფლების გარეშე, შეეფარდა. თუმცა, რამდენიმე დღის წინ, მისი სამშობლოში ექსტრადირება მოხდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა კი ის შეიწყალა და პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ამ ფონზე, სომხეთის ნაციონალური კრება მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ კანონპროექტს განიხილავს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კანონპროექტის შესწორებებს მიიღებენ, სომხეთი კოსოვოს პრეცედენტის მსგავსად, მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას იურიდიულად აღიარებს.

აღნიშნული დოკუმენტი პარლამენტში უნგრეთიდან აზერბაიჯანში რამილ საფაროვის ექსტრადიციის საპასუხოდ შეიტანეს. აღნიშნულის შედეგად სამ ქვეყანას შორის ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა. სომხეთმა უნგრეთთან დიპლომატიური ურთიერთობები შეაჩერა, ხოლო უნგრეთმა ბუდაპეშტში აზერბაიჯანის საელჩოს საპროტესტო ნოტა გადასცა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# მცხეთის გამგეობაში წინასაარჩევნოდ თანამშრომლების რაოდენობა გაიზარდა

არჩევნების წინ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში თანამშრომლების რაოდენობა გაიზარდა. მცხეთის გამგებელს, თეიმურაზ აბაშიძეს ახლა ორის მაგივრად ოთხი მოადგილე ჰყავს, გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებს კი 22-ით მეტი სპეციალისტი.

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ დეკლარირებული „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის მიუხედავად, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში თანამშრომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მცხეთის გამგეობაში 2010 წელს 225 ადამიანი იყო დასაქმებული, 2011 წელს – 230, 2012 წლის იანვარში – 253, ხოლო 2012 წლის ივლისში – 264.

მცხეთის გამგებელს, თეიმურაზ აბაშიძეს 2010 წელს ორი მოადგილე ჰყავდა. ამჟამად მას ოთხი მოადგილე ჰყავს. მეოთხე მოადგილის შტატი რამდენიმე თვის წინ შეიქმნა და ის მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის ყოფილმა მოადგილემ გივი მაისურაძემ დაიკავა. მაისურაძისთვის შტატის შექმნა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც მის ადგილზე გუბერნატორის მოადგილედ ნატო საგინაშვილი დაინიშნა.

თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა მცხეთის რაიონის სოფლების ტერიტორიულ ორგანოებშიც. მცხეთის რაიონში სულ 24 ტერიტორიული ორგანოა. 2011 წელს ტერიტორიულ ორგანოებში 42 სპეციალისტი იყო დასაქმებული, 2012 წლის იანვარში – 56, ხოლო 2012 წლის ივლისში – 63. სპეციალისტები დაემატა აღდგომლიანთკარის, ნატახტრის, ციხისძირის, ქსნის, ქსოვრისის, საგურამოს, მუხრანის, ცხვარიჭამიის, ძველი ქანდას და მისაქციელის ტერიტორიულ ორგანოებს.

რატომ გახდა მცხეთის გამგეობაში გამგებლის მოადგილეების და ტერიტორიულ ორგანოებში სპეციალისტების დამატება საჭირო, ამ კითხვაზე მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა პასუხი ვერ მიიღო. „შვებულებაში ვარ და სამსახურის საქმეებზე საუბარი არ მინდა,“ – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს მცხეთის გამგებელმა თეიმურაზ აბაშიძემ და ტელეფონი გათიშა. კითხვაზე პასუხის გაცემა არც გივი მაისურაძემ ისურვა, რომელიც თეიმურაზ აბაშიძის შვებულებაში ყოფნის გამო ამჟამად გამგებლის მოვალეობას ასრულებს.

ოპოზიციის მტკიცებით, სოფლის ტერიტორიულ ორგანოებში კადრების მატება წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირდება და ხელისუფლება მათ „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო აგიტაციისთვის იყენებს.

**მცხეთა—მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# პატრიარქი დღეს ბოლნისის ეპარქიას მოსალოცად ეწვევა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დღეს ბოლნისის ეპარქიაში მოსალოცად მიბრძანდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბოლნისის ეპისკოპოსმა ეფრემმა განუცხადა, უწმინდესის ვიზიტი ბოლნისის ეპარქიაში ერთდღიანია.

კათოლიკოს-პატრიარქი ბოლნისის სიონში ჩავა და პარაკლისს გადაიხდის. შემდეგ კაზრეთის კვარცის მწარმოებელ საწარმოს ესტუმრება, კაზრეთის სამების ტაძარს მოილოცავს, სოფელ რატევანის მოსახლეობას შეხვდება და რაჭის უბანს მოილოცავს.



მეუფე ეფრემის განცხადებით, კათოლიკოსის ვიზიტი ეპარქიაში, მისი მღვდელმთავრობის პერიოდში პირველად ხდება და მთელი ეპარქია პატრიარქს დიდი სიყვარულით ელოდება.

**ინტერპრესნიუსი**

# რამაზ ნიკოლაიშვილის საარჩევნო შტაბს გურიის გუბერნატორი ვალერიან ჩიტაიშვილი უხელმძღვანელებს

ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, რამაზ ნიკოლაიშვილის საარჩევნო შტაბს გურიის გუბერნატორი, ვალერიან ჩიტაიშვილი უხელმძღვანელებს.



ამის შესახებ ვალერიან ჩიტაიშვილმა რამაზ ნიკოლაიშვილის შტაბის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის განცხადებით, შტაბში მედია ჯგუფის შექმნილი, რომელიც მზად არის, ნებისმიერ ჟურნალისტს მათთვის საინტერესო ინფორმაცია მიაწოდოს.

რამაზ ნიკოლაიშვილი დარწმუნებულია, რომ გაცილებით მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე სხვა შვიდივე კანდიდატი ერთად.

„ერთმანეთს მუშაობაში ხელი შევუწყოთ და არ შევუშალოთ. მზად ვარ, მაქსიმალურად ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან. დარწმუნებული ვარ, უფრო მეტ ხმას მივიღებ, ვიდრე სხვა შვიდივე, ჩემი კონკურენტი ერთად“, –აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.

**მედიანიუსი**

# ლეიბორისტებმა მაჟორიტარები წარადგინეს

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა დღეს, ზუგდიდში, „ენგურქაღალდ კომბინატის“ კულტურის სახლში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პარტიის მაჟრიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა.




ზუგდიდში პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი თამაზ ჩარკვიანი, მესტიაში ფიქრია ავალიანი, აბაშაში ზურაბ ლომია, სენაკში იგორ ბოჯგუა, მარტვილში გოჩა ცაგურია, ხობში ამირან ქადარაია, წალენჯიხაში მალხაზ ვეფხვაძე, ჩხოროწყუში თამაზ მოსიძე და ფოთში გიორგი ტორონჯაძეა.

„ეს არ არის არავითარი სია, ესენი არ არიან არავითარი კანდიდატები. ჩვენ ყველა ვართ საქართველოს გადარჩენის ლაშქარი“,– განაცხადა შალვა ნათელაშვილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისას.

შალვა ნათელაშვილი მოქალაქეებს თავდაპირველად მეგრულად მიესალმა და უთხრა, რომ მეგრელების სიძეა, ამიტომაც მისი თქმით, განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება აქვს სამეგრელოსთან. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში შალვა ნათელაშვილი მოქალაქეებს „სააკაშვილის რეჟიმის“ შეცვლას, ნატოზე უარის თქმას, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენას და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას დაჰპირდა.

„სანამ ჯერ კიდევ დროა, ეს შეიძლება გაკეთდეს, თუ არ შევშინდებით 1-ელ ოქტომბერს და არ გავიყიდებით. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს სამეგრელოსი, მათ ვერავინ შეაშინებს“, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# კახა ბაინდურაშვილი კაზინოს ინვესტორთა საერთაშორისო კონგრესზე სიტყვით გამოვიდა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა, კახა ბაინდურაშვილმა მონაწილეობა მიიღო აჭარის მთავრობისა და კომპანია „ჯიბიმედიაკორპორეიშენის“ ორგანიზებით გამართულ კაზინოს ინვესტორთა პირველ საერთაშორისო კონგრესში.

როგორც „მედიანიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, კონგრესს კაზინოს ინვესტორთა ორგანიზაციების 15 ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა აჭარის მთავრობის წევრებმა, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონში მოქმედი კაზინოების, ასევე ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ. საერთაშორისო კონგრესი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძემ გახსნა.

გამართული შეხვედრის მიზანი მსოფლიოში კაზინოსმსხვილი ინვესტორების დაინტერესება საქართველოს, კერძოდ, ბათუმის საინვესტიციო პოტენციალით და სათამაშო ბიზნესის განვითარების პერსპექტივით.

სიტყვით გამოსვლისას კახა ბაინდურაშვილმა კონგრესის მონაწილეებს ქვეყნის საინვესტიციო გარემო, კაპიტალის დაბანდებისათვის საინტერესო ტურისტული, ბიზნეს-, ურბანული და სხვა პროექტები, ასევე ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისთვის გატარებული სტრუქტურული და საკანონმდებლო რეფორმები გააცნო.

**მედიანიუსი**

# ელდარ შენგელაიას სპეციალური პრიზით დააჯილდოვებენ

ეკა ირემაშვილი

## ბათუმი საავტორო ფილმების ფესტივალისთვის ემზადება

**16 სექტემბერიდან ბათუმი საავტორო ფილმების მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალს (ბიაფი) უმასპინძლებს. ფესტივალის ორგანიზატორებმა მასმედიის წარმომადგენლებს ფესტივალის პროგრამა უკვე გააცნეს. ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი 2006 წელს დაარსდა, კინოფესტივალის ორგანიზატორი ბათუმის ხელოვანთა სახლი „არგანია“, ოფიციალური პარტნიორი კი — ბათუმის მერია.**



როგორც კინოფესტივალის ორგანიზატორებმა განმარტეს, „ბიაფი 2012“-ის პროგრამა რამდენიმე სექციისგან შედგება და მოიცავს მხატვრულ და დოკუმენტურ კინოს, მოკლემეტრაჟიან ფილმებს, დიდოსტატთა კოლექციას და „აბრეშუმის გზის“ ქვეყნების კინოს. ფესტივალის მსვლელობისას ფილმების ჩვენების პარალელურად ჩატარდება „უორქშოფები“ და მასტერკლასები. საავტორო ფილმების მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი 16 სექტემბრიდან ერთი კვირის განმავლობაში ბათუმში მდებარე კინოთეატრ „აპოლოში“ და სასტუმრო „რედისონში“ გაიმართება.

ბიაფის კინოფესტივალ განახლებული ვებგვერდი და ახალი პროექტები აქვს. „ბათუმის ხელოვანთა სახლი – არგანი“, „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით მრავალ პროექტს ახორციელებს იმისათვის, რომ წლევანდელი ბიაფის კინოფესტივალი გამორჩეული იყოს.

— ბათუმში იუესაიდისDდემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა პრეზენტაცია, სადაცBბიაფის ორგანიზატორებმა წარმოვადგინეთ ჩვენ მიერ უკვე განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები, ვისაუბრეთ კინოფესტივალის ინსტიტუციონალური განვითარებისათვის ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, რაც მოიცავდა მოხალისეთა გადამზადებას, ტრენინგებსა და ვორქშოფებს პიარ კომუნიკაციაში, სოციალური მედიაში და ფოტოგრაფიაში. ასევე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია კინოფესტივალის 2012 წლის პროგრამის და ინდუსტრიული შეხვედრების შესახებ, რომლის მიზანი უცხოელ და ქართველ კინემატოგრაფისტებს შორის კონტაქტების დამყარება და კინო-პროდუქციის განვითარების ხელშეწყობაა. კინოფესტივალს სიახლე აქვს დამწყები კინორეჟისორებისთვის. ჯერ კიდევ ივლისში გაიხსნა კინოსკოლა თემაზე „სცენარის განვითარება“, სწავლება მიმდინარეობდა ვორქშოპების სახით, რომელსაც უძღვებოდა ტრენერი ინგლისიდან, ლონდონის კინოსკოლის წარმომადგენელი პოლ კრონინი. კინოფესტივალის მენეჯმენტის მიერ შეირჩა 22 ახალგაზრდა კინემატოგრაფი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კინოსკოლაში. კანდიდატთა შერჩევა მოხდა მათი გამოცდილების, წინა წარმოდგენილი ფილმის იდეისა და სამოტივაციო და სარეკომენდაციო წერილების მიხედვით. კინოსკოლის მიზანს საქართველოში კინოგანათლების ხელშეწყობა და ახალგაზრდა კინორეჟისორების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება წარმოადგენს. საზაფხულო კინოსკოლის მონაწილეების ფილმები ნაჩვენები იქნება ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე, — აღნიშა კინოფესტივალ „ბიაფის“ მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა.

16-23 სექტემბერს, ბიაფის პარტნიორი ორგანიზაცია პოსტდოკ ფილმსის კოორდინირებით ჩატარდება ვორქშოფი დოკუმენტურ კინოში. მასში მონაწილეები ორგანიზატორთა მიერ შერჩეულ თემაზე გადაიღებენ მოკლემეტრაჟიან, დოკუმენტურ ფილმს. ფილმის გადაღების პროცესში ისინი გამოცდილი რეჟისორებისგან მიიღებენ რეკომენდაციებსაც. ფესტივალის ფარგლებში იგეგმება კონკურსი ბლოგერებისთვის. საწყის ეტაპზე მათთვის ორგანიზებული იქნება ორდღიანი ვორქშოფი თემაზე „სოციალური მედიის მნიშვნელობა კულტურული ღონისძიებების მარკეტინგში“. კინოფესტივალის მიმდინარეობისას გამოცხადდება კონკურსი — სამი ბლოგერი, რომელიც ყველაზე ინტენსიურად და საინტერესოდ გააშუქებს ფესტივალს, მომავალ წელს, ბათუმის საავტორო კინოფესტივალის ექსკლუზიური ბლოგერის სტატუსით ისარგებლებს. გამარჯვებული ბლოგერების ტრანსპორტირებას, ბათუმში საცხოვრებელი ადგილისა და ცხოვრების ხარჯებს მთლიანად კინოფესტივალი დაფარავს. გამარჯვებულ ბლოგერებს კინოფესტივალის ორგანიზატორები ბიაფის გახსნის და დახურვის საზეიმო წვეულებაზე მიიპატიჟებენ. ფესტივალი 2010 წლიდან ატარებს კონკურსს ბლოგერებისთვის, ყველაზე საინტერესო და ორიგინალური გაშუქებისათვის კი ექსკლუზიური ბლოგერის სტატუსსა და კინოფესტივალზე დასწრების ხარჯებს სრულად უზრუნველყოფს. შარშანდელი კინოფესტივალის გამარჯვებული ბლოგერები არიან ან ნა, გოჩა, მარიამი და ნინი, რომლებსაც წლევანდელ ფესტივალზე მთლიანად უნაზღაურდებათ კინოფესტივალზე დასწრების ხარჯები.

— ვორქშოფზე „კულტურული ღონისძიებების გაშუქება სოციალურ მედიაში“ მონაწილე ბლოგერების შერჩევის პროცესი დასრულდა. ვორქშოფში მონაწილეობის სურვილი 52-მა ბლოგერმა გამოთქვა. ფესტივალის მენეჯმენტის ჯგუფის მიერ, მათგან შეირჩა 23 ბლოგერი, სოციალურ მედიაში მათი გამოცდილების, ბლოგის აქტუალობის, კულტურული ღონისძიებების თემის გაშუქებაზე ორიენტირებულობის გათვალისწინებით. ვორქშოფში კონკურსის გარეშე შეირჩა, ბათუმის მეექვსე საავტორო კინოფესტივალის ბლოგერების კონკურსში გამარჯვებული 4 ბლოგერი. ასევე ვორქშოფს დაესწრება ორი პოპულარული ბლოგის ავტორი ბათუმიდან. ბათუმის მეშვიდე საერთაშორისო საავტორო კინოფესტივალის ფარგლებში დაგეგმილ ვორქშოფში მონაწილეობას საერთო ჯამში 29 ბლოგერი მიიღებს. მისი მიზანი კულტურული ღონისძიებების მარკეტინგში, სოციალური მედიის გამოყენების მნიშვნელობის განხილვაა. ვორქშოფის პირველ დღეს ბლოგერების მიერ წარმოდგენილი იქნება პრეზენტაციები — სოციალური მედიით კულტურული ღონისძიებების გაშუქების წარმატებული ქართული/უცხოური ქეისების შესახებ. ვორქშოფის მეორე დღე დაეთმობა დისკუსიას, რომლის დროსაც განხილული იქნება შემდეგი თემები — რა სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში, როგორ შეიძლება გააქტიურდეს სოციალური მედიის როლი ამ სფეროში, როგორ შეიძლება გავზარდოთ სოციალური მედიით დაინტერესება კულტურის სფეროში არსებული ორგანიზაციებისა და ფესტივალის ორგანიზატორების მხრიდან. ვორქშოფს აუცილებლად ეყოლება მოდერატორი, — აცხადებს ფესტივალის ხელმძღვანელი გიორგი გოგიბერიძე.

ბათუმის საავტორო ფილმების რიგით მეშვიდე საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმოდგენილი იქნება დაახლოებით 40 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური და 40 მოკლემეტრაჟიანი ფილმი 20-22 ქვეყნიდან.

— პროგრამა მე და ფესტივალის დირექტორმა გიორგი გოგიბერიძემ ავარჩიეთ და აქცენტი გავაკეთეთ 2011-2012 წლებში გადაღებულ არაკომერციულ ფილმებზე. ფილმების ჩვენება ყოველდღე 12:00 საათზე დაიწყება და მაყურებელი დღეში დაახლოებით ხუთ ფილმს იხილავს. განსაკუთრებული ფილმები კი 22:00 საათზე იქნება ნაჩვენები, — ამბობს ფესტივალის მენეჯერი.

კინოფესტივალის ფარგლებში ბათუმს ესტუმრებიან კინოსამყაროს წარმომადგენლები ევროპიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, პოსტსაბჭოთა სივრციდან და აზიის ქვეყნებიდან. კინოფესტივალის საპატიო სტუმრები კი ცნობილი რეჟისორი იერჟი ჰოფმანი, ასევე ცნობილი თურქი რეჟისორი ნური ბილჯე ჩეილანი და ქართველი რეჟისორი ელდარ შენგელაია იქნებიან. სტუმრებს შორის ასევე არიან ცნობილი კინორეჟისორები და მსახიობები — ალი მოსაფა, ლეილა ხატამი, ფარდინ საჰებზამანი, ჰუსეინ კარაბეი, ალპერ ოზჩანი, სერგეი ბუკოვსკი და სხვები.

— სტუმრების ნაწილი ბათუმს 16 სექტემბერს, მეორე ნაწილი კი 19 სექტემბერს ეწვევა. „ბიაფის“ კინოფესტივალის პროგრამა შედგება სექციებისგან: საერთაშორისო კონკურსი — მხატვრული კინო, საერთაშორისო კონკურსი — დოკუმენტური კინო, საერთაშორისო კონკურსი — მოკლემეტრაჟიანი ფილმები და აბრეშუმის გზის ქვეყნების კინო — კავკასია, ცენტრალური აზია, თურქეთი, ირანი. მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსის ხუთკაციანი ჟიურის თავმჯდომარე ელდარ შენგელაია, დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ჟიურის თავმჯდომარე რადოსლავ პივოვარსკი, მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჟიურის თავმჯდომარე კი სიტორა ალიევაა, — განაცხადა კინოფესტივალის დირექტორმა გიორგი გოგიბერიძემ.

კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაწესებულია შემდეგი პრიზები — გრან პრი, საუკეთესო რეჟისურა, მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი, ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი, ჟიურის სპეციალური პრიზი, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი და საუკეთესო დოკუმენტური ფილმი.

კინოფესტივალის ყოველწლიური პრიზი მსოფლიო კინემტოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის ქართველ რეჟისორს ელდარ შენგელაიას და პოლონელ რეჟისორ იერჟი ჰოფმანს გადაეცემა.

საერთაშორისო კინოფესტივალ „ბიაფის“ ფარგლებში ასევე გაიმართება მასტერკლასები, ინდუსტრიული შეხვედრები, დოკუმენტური კინოს ვორკშოპი და ბლოგერების კონკურსი. მასტერკლასებს ელდარ შენგელაია, პოლონელი რეჟისორი იერჟი ჰოფმანი და თურქი რეჟისორი ნური ბილჯე ჩეილანი ჩაატარებენ. დასწრება ყველა მსურველისთვის თავისუფალი იქნება. რაც შეეხება ინდუსტრიული შეხვედრებს, მის ფარგლებში, ორი დღის განმავლობაში თურქი და პოლონელი პროდიუსერები ქართველი კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

— ამ შეხვედრების მიზანი უცხოელ და ქართველ კინემატოგრაფისტებს შორის კონტაქტების დამყარება და კინოპროდუქციის განვითარების ხელშეწყობაა. ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართება ბლოგერების კონკურსი, რომელიც კინოფესტივალის მიმდინარეობისას გამოცხადდება. სამი ბლოგერი, რომელიც ყველაზე ინტენსიურად და საინტერესოდ გააშუქებს ფესტივალს, მომავალ წელს ბათუმის საავტორო კინოფესტივალის ექსკლუზიური ბლოგერის სტატუსით ისარგებლებს. ფესტივალის მსვლელობისას, 16-დან 23 სექტემბრამდე ასევე გაიმართება დოკუმენტური კინოს ექვსდღიანი ვორქშოპი. 12 მონაწილე შერჩეულ თემაზე გადაიღებს სამ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს. ფილმის გადაღების პროცესში, ისინი მიიღებენ რეკომენდაციებს ცნობილი და გამოცდილი რეჟისორებისგან. გადაღებული ფილმის ნახვის საშუალება კი მაყურებელს მომავალ კინოფესტივალზე ექნება. ამ ფესტივალის მიზანს არაკომერციული ფილმების პოპულარიზაცია და კოპროდუქციების შექმნა წარმოადგენს, რასაც ინდუსტრიული შეხვედრები, სხვადასხვა ცნობილი კინორეჟისორის სტუმრობა და ქართველ კინემატოგრაფისტებთან დაახლოება შეუწყობს ხელს. ბათუმის საავტორო ფილმების მეშვიდე საერთაშორისო კინოფესტივალზე „ბიაფი“ დასწრების მსურველებს ბილეთის შეძენა სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად შეეძლებათ, — აღნიშნა კინოფესტივალის დირექტორმა გიორგი გოგიბერიძემ.

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორებმა დაიწყეს საპრიზო კონკურსი „მოიწვიე მეგობრები „ბიაფის“ „ფეისბუქის“ გვერდზე“, რომლის მიზანია კინოფესტივალის ფეისბუქ გვერდის პოპულარიზაცია.

— ჩაერთეთ კონკურსში „მოიწვიე მეგობრები“, დაპატიჟეთ რაც შეიძლება მეტი მეგობარი თქვენს მხარდასაჭერად და მიიღეთ საჩუქრად ბიაფის კინოფესტივალის მიერ დაწესებული პრიზები. კონკურსის შედეგად გამოვლინდება სამი გამარჯვებული კონკურსანტი, რომლებიც საჩუქრად მიიღებენ შემდეგ პრიზებს: პირველი

გაგრძელება მე-10 გვერდზე


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

# ივო კატუშიჩი: ტორპედოში“ ფიზმომზადების მხრივ ყველაფერი კარგადაა

ქუთაისის „ტორპედოს“ ფიზმომზადების მწვრთნელი, 32 წლის ივო კატუშიჩი, საქართველოში 2009 წლიდან მუშაობს. მან თითო სეზონი თბილისის „დინამოში“ (2009-2010) და „ზესტაფონში“ (2010-2011) გაატარა, „ტორპედოში“ კი, მზადების მეორე ერთწლიან ციკლს შეუდგა.

კატუშიჩთან ინტერვიუ იმერული კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.



***— შეიცვალა თუ არა გუნდში რამე ფიზმომზადების მხრივ?***

— გასულ სეზონში ბევრი ხნიერი ფეხბურთელი გვყავდა, ახლა კი უფრო ახალგაზრდა გუნდი გვყავს და სასურველი ფიზიკური ფორმის შენარჩუნება გაცილებით იოლია.

***— აქსიომაა, როცა ფეხბურთელი კარიერას ასრულებს, მისი ხელახლა აღზრდა გაცილებით ძნელია, ვიდრე დამწყების.***

— ბუნებრივია, კაცმა იცის, რომ მალე ფეხბურთს თავი უნდა დაანებოს და ზედმეტი დატვირთვების მიღების აზრს ვერ ხედავს. თუმცა, გამონაკლისებიც არიან, რომლებიც ასაკის მიუხედავად არ ერიდებიან საკუთარ თავზე მუშაობას, რაც საბოლოოდ მათ ფიზიკურ კონდიციებზეც პოულობს გავლენას და არაერთ ახალგაზრდაზე კარგ ფეხბურთს აჩვენებინებს.

***— დღეისთვის რისი თქმა შეგიძლიათ, „ტორპედოში“ „ფიზიკის“ მხრივ როგორაა საქმე?***

— შეიძლება ითქვას, ჩვენ გეგმის მიხედვით მივიწევთ წინ და აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელშია დაუღალავი შრომის სურვილი. თუ ისინი ასევე გააგრძელებენ საკუთარ თავზე მუშაობას, შეგვეძლება იმის თქმა, რომ „ტორპედოში“ ფიზმომზადების მხრივ ყველაფერი კარგადაა.

***— თბილისის „დინამოსა“ და „ზესტაფონში“ მუშაობისას, თქვენ კარგად ისეთი გუნდების შესაბამის მომზადებაზე მუშაობდით, რომელსაც ევროტურნირებზე დაძაბულ რიტმში ასპარეზობა უწევდათ. წლეულს კი, როცა „ტორპედო“ ევროპის ლიგაზე გამოდიოდა, მან ერთი ეტაპის გადალახვაც ვერ შეძლო. როგორ ფიქრობთ, შეუშალა ჩვენს გუნდს „აქტობეს“ ბარიერის გადალახვაში ფიზმომზადებამ?***

— წარმატებულ გამოსვლაში ფიზმომზადების გარდა, სხვა ფაქტორებმაც შეუშალა ჩვენს გუნდს ხელი. პირველი მიზეზი ის იყო, რომ ბევრს ამ დონეზე თამაშის გამოცდილება არ ჰქონდა — ერთია სპარინგი, მეორე ოფიციალური, რომელშიც ზედიზედ 10 წელი ევროტურნირებზე მოთამაშე გუნდი რომ გიპირისპირდება. იყო ფიზიკური მომზადების მიზეზიც — გუნდმა ვერ შეძლო იმ ტაქტიკური დავალებების შესრულება, რაც მას მთავარმა მწვრთნელმა დაუსახა. მოგეხსენებათ, „ტორპედო“ ახლა ყალიბდება და მან რომ მწვრთნელებისთვის სასურველად თამაში დაიწყოს, საამისოდ დროა საჭირო.

***— თქვენი პროფილით, ეროვნულ ჩემპიონატზე ბევრი კონკურენტი ჰყავს „ტორპედოს“?***

— „დინამო“, „მეტალურგი“, „ზესტაფონი“ და, რა თქმა უნდა, „დილა“. გორში პრაქტიკულად საქართველოს ნაკრებია შეკრებილი.

***— კი, მაგრამ „ხნიერები“ „დილაშიც“ საკმარისად არიან.***

— გეთანხმებით, მაგრამ სხვაობა იმაშია, რომ მათ რუსეთში, უკრაინაში და სხვა უცხოურ ქვეყანაში აქვთ ნათამაშები. ერთია, როცა საქართველოს ჩემპიონატში „დაბერდები“ და მეორე, როცა გაცილებით უკეთეს ჩემპიონატში უძლებ კონკურენციას.

***— თქვენი საქართველოში პირველად ჩამოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა?***

— შეიცვალა რომელია — თბილისში ყოველი ახალი ჩასვლისას, ბევრ რამე ვერ იცნობს კაცი. შენდება ქუთაისიც, სადაც უფრო ხშირად მიწევს ყოფნა.

***— ოჯახზეც გკითხავთ. მეუღლე და ვაჟი თქვენთან არიან, თუ იქით აკითხავთ?***

— ჩემპიონატის მიმდინარეობისას ისინი პრაქტიკულად აქ არიან. ასე 2 კვირაში მეწვევიან და 24 დეკემბრამდე საქართველოში დარჩებიან. მოგეხსენებათ, 23-ში ბოლო თამაშია და საახალწლო არდადეგები გვექნება. ზამთრის შესვენებას ხორვატიაში გაატარებენ და როცა გაზაფხულზე განახლდება სეზონი, მეუღლეც და ვაჟიც ისევ საქართველოში ჩამოვლენ.

# ვიცე-ჩემპიონმა ტიმო სოკი დაიმატა

საქართველოს სუპერლიგის ვიცე-ჩემპიონმა, თბილისის „ოლიმპმა“ ესტონეთის ნაკრების გამთამაშებელი, სტენ-ტიმო სოკი დაიმატა. გემახსოვრებათ, სოკი თბილისურ ტურნირშიც იღებდა მონაწილეობას და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი 1989 წელს არის დაბადებული და მისი სიმაღლე 181 სანტიმეტრია.

„ოლიმპში“ გადმოსვლამდე, სოკი ესტონურ „ტარტუ ულიკოლში“ თამაშობდა, სადაც სეზონში საშუალოდ 8.3 ქულას, 3.2 პასს და 1.9 მოხსნას აგროვებდა. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა „კმლ“-ის ლიგაში, სადაც საშუალოდ, 9.5 ქულას, 4.1 პასს და 2.2 მოხსნას აგროვებდა. მიმდინარე ევრობასკეტის შესარჩევ ტურნირში კი, საშუალოდ 6.6 ქულასა და 5.1 პასს ახერხებს.

ტიმო სოკი 2006 წელს ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტად დასახელდა, 2008 წელს ყველაზე პროგრესირებად კალათბურთელად, ხოლო 2011 წელს ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო მცველად.

გეტყვით იმასაც, რომ მამამისი, ტიიტ სოკი საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდა და მის რიგებში ოლიმპიური ჩემპიონიც გამხდარა. კალათბურთელია ტიმო სოკის ძმაც, ასევე ესტონეთის ნაკრების წევრი ტანელ სოკი.

# ნაკრები სრული შემადგენლობით შეიკრიბა

საქართველოს ეროვნული ნაკრები აგრძელებს მზადებას მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საშინაო მატჩებისთვის.

თემურ ქეცბაიამ „ჯვაროსნები“ კვლავ „ბასაზე“ საღამოს ავარჯიშა. მთელი შემადგენლობა ადგილზეა, ბოლო ლეგიონერი ირაკლი სირბილაძე გუნდს 4-ში, ღამით შეუერთდა, რადგან მის გუნდს ორშაბათს ფინეთის ჩემპიონატში ჰქონდა თამაში და ირაკლიმაც იმ მატჩში 2 გოლი გაიტანა. ასე რომ, გუშინ ნაკრებმა უკვე სრული შემადგენლობით ივარჯიშა.



გულშემატკივარს უკვე მოეხსენება, რომ ქეცბაიას რამდენიმე იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდა. ბოლო ცვლილება, ტრავმირებული ჯაბა დვალის ნაცვლად, გორის „დილას“ ნახევარმცველის ზურაბ არზიანის გამოძახება იყო.

გუნდის საბოლოო შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (დინამო თბ), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო);

**მცველები:** გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ზურა ხიზანიშვილი (ქაისერისპორი, თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაკი, აზერბაიჯანი), გია გრიგალავა(ვოლგა, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (გაზ-მეთანი, რუმინეთი), გიორგი რეხვიაშვილი (დინამო თბ), დავით კვირკველია(დილა);

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), დავით თარგამაძე (ილიჩევეცი, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი, უკრაინა), სანდრო გურული, ზურაბ არზიანი (ორივე დილა) ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი), თორნიკე გორგიაშვილი (ზესტაფონი).

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ირაკლი სირბილაძე (ინტერი, ფინეთი).

ბელარუსული კლუბი მინსკის „დინამო“ თბილისის ხშირი სტუმარი იყო. პოსტსაბჭოური ქვეყნის ჟურნალისტებისთვის არც ვეტერანი ქართველი ფეხბურთელებთან ინტერვიუები გახდა ძნელი მოსაპოვებელი და ერთი ასეთი იქაურ ვებგვერდებზე ვლადიმერ გუცაევთან გამოქვეყნდა.

***— თამაშს დაესწრებით?***

— ალბათ, კი. ჩვენი ნაკრები თამაშობს და მეტოქეც არაა სუსტი. საინტერესო საყურებელი იქნება.

***— როგორ ფიქრობთ, ვინ მოიგებს?***

— ძნელი სათქმელია. ეს შესარჩევის პირველი მატჩია და მოგებით დაწყება ორივე გუნდს ძალიან სურს. თუმცა, ბელარუსები ეცდებიან, ქულა აილონ. ან, თუნდაც 3 ქულა. შანსები თანაბარია, მაგრამ ჩვენ საკუთარი მოედნის ფაქტორი დაგვეხმარება. ვფიქრობ, თბილისში სტადიონი გაივსება — 56.000 კაცი მოვა.

***— დიდი ხანია, ბელარუსის ნაკრების თამაში არ გინახავთ?***

— წინა შესარჩევის ფრაგმენტები ვნახე. შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, კარგი, მებრძოლი გუნდია. აგვისტოში სომხებს მოუგეს, არადა, სომხეთს ახლა ძლიერი გუნდი ჰყავს. მწვრთნელიც კარგი ჰყავს ბელარუსს — ვიქტორ კონდრატიევი.

***— გეორგი...***

— დიახ, მაპატიეთ. რა თქმა უნდა, გეორგი. ჩვენ ხშირად გვითამაშია ერთმანეთის წინააღმდეგ. ვერ გეტყვით, რომ ახლოს ვიცნობ, მაგრამ ურთიერთობა გვქონია. როგორც კოლეგას, წარმატებას ვუსურვებ.

# გაახალგაზრდავებული ახალგაზრდული ესტონეთისთვის ემზადება

დღეს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩს გამართავს ესტონელ თანატოლებთან. ჯგუფიდან გასვლის შანსი ალექსანდრე ჩივაძის გუნდს კარგა ხანია დაკარგული აქვს და ახლა მთავარი მწვრთნელის ფიქრები მომავალი ციკლისკენ არის მიმართული.

ამის დასტურია, რომ ბოლო მატჩებში ჩივაძემ უამრავი ფეხბურთელი გამოსცადა და ახლაც გადახალისებული შემადგენლობით აპირებს ესტონელებთან თამაშს. წინა მატჩებისგან განსხვავებით ამჯერად გუნდში აღარ არიან გიორგი ჭანტურია, ვაკო ყაზაიშვილი, დავით კოხია, ნიკა საბანაძე, გიორგი კუხიანიძე, მერაბ გიგაური, ნიკა აფაქიძე და კოტე გაბაშვილი. სამაგიეროდ, ბევრია ახალწვეული. პირველ რიგში, ეს მიმდინარე ჩემპიონატის აღმოჩენის, საჩხერის „ჩიხურას“ ფეხბურთელებს ეხებათ — გიორგი ქიმაძე, ბესიკ დეკანოიძე, დავით კირკიტაძე და თორნიკე მუმლაძე. მათ გარდა სიახლეა ტორპედოელი გიორგი ფანცულაიას გამოძახებაც.

გარდა ამისა, ახალგაზრდული ნაკრები ზედმეტად ახალგაზრდულია — თითქმის ყველა ფეხბურთელი 2 წლით უმცროსია მეტოქეებთან შედარებით.

ძირითად ბირთვს თბილისის „დინამო 2“-ის ფეხბურთელები წარმოადგენენ — ამ გუნდიდან 7 ფეხბურთელია გამოძახებული, მაშინ როდესაც ნაკრებში მხოლოდ 4 ლეგიონერია.

**ალექსანდრე ჩივაძე:**

— სანაკრებო მატჩამდე გუნდის მოსამზადებლად ორი დღე გვაქვს და ჯერ ძნელია იმის თქმა, რომელი ფეხბურთელი რა მზადყოფნაშია ამ დროისთვის. ეს ამ შესარჩევის ბოლო მატჩია და იმედია, რომ წარმატებას მივაღწევთ. იცით, რომ ხორვატია ესპანეთს ეთამაშება, ჯგუფში მესამე ადგილი უნდა შევინარჩუნოთ. ჩვენთვის ნებისმიერი თამაშის შედეგი მნიშვნელოვანია მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის დაწყებული გვაქვს სასელექციო სამუშაოები. ერთი თვის შემდეგ დანიასთან გვექნება ამხანაგური მატჩი და სასელექციო პროცესიც გაგრძელდება. ახალი შესარჩევი ეტაპისთვის ბირთვი უკვე ყალიბდება, ფეხბურთელებმა ყველა შეხვედრაში თავიანთი მაქსიმუმი უნდა ჩადონ, უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ნაკრებში საკმაოდ დიდი კონკურენციაა.

საესტონეთოდ ქართველ 21-წლამდელთა განაცხადი ასეთია:

**მეკარეები:** გიორგი ნადირაძე (სპარტაკი), კახა მეშველიანი (ზესტაფონი);

**მცველები:** მამუკა კობახიძე, თედო გრიგალაშვილი (ორივე ზესტაფონი), სოლომონ კვირკველია (ნეფტეხიმიკი, რუსეთი), გიორგი გაგნიძე, ოთარ კაკაბაძე (ორივე დინამო თბ), გიორგი ქიმაძე (ჩიხურა);

**ნახევარმცველები:** ნიკა კვეკვესკირი, ჯაბა ჯიღაური, გიორგი პაპავა, ლაშა ჩაფიძე, ლაშა პარუნაშვილი (ყველა დინამო თბ), ნიკა ძალამიძე (იაგელონია, პოლონეთი), ბესიკ დეკანოიძე, დავით კირკიტაძე (ორივე ჩიხურა);

**თავდამსხმელები:** დავით სხირტლაძე (ორჰუსი, დანია), თორნიკე მუმლაძე (ჩიხურა) გიორგი ფანცულაია (ტორპედო), ირაკლი შეყილაძე (ემპოლი, იტალია).

შეგახსენებთ, რომ მატჩი დღეს 19 საათზე, „მიხეილ მესხის“ სტადიონზე გაიმართება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 21:2 | 18 |
| 2.შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 13 |
| 3.საქართველო | 7 | 2 | 1 | 4 | 6:17 | 7 |
| 4.ხორვატია | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 |
| 5.ესტონეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:14 | 1 |

**დარჩენილი მატჩები:**

**6 სექტემბერი:** საქართველო-ესტონეთი, შვეიცარია-ესპანეთი;

**10 სექტემბერი:** ესპანეთი-ხორვატია, შვეიცარია-ესტონეთი.

# ქალთა პირველმა მარცხმა მედლებს დაგვაშორა

სტამბოლში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადის მე-7 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებმა პირველი მარცხი განიცადა და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა. ჩვენმა გოგოებმა მარცხი პირველი განთესვის მქონე ჩინელებთან განიცადეს – 1,5:2,5.

ქართველთაგან ერთადერთი გამარჯვება შავი ფიგურებით მოთამაშე ბელა ხოტენაშვილმა იზეიმა, რომელმაც ვენჯუნ ჟუს სძლია. ნაკრების ლიდერი ნანა ძაგნიძე კი, იიფან ჰოუს დაუზავდა. სამწუხაროდ, თავიანთი პარტიები წააგეს ლელა ჯავახიშვილმა და ნინო ხურციძემ, რომლებიც შესაბამისად ქიან ჰუანგთან და იიქსინ დინგთან დამარცხდნენ. საქართველოს ნაკრებს შვიდ ტურში 10 ქულა შერჩა და მე-11 ადგილამდე დაქვეითდა. არადა, გამარჯვების შემთხვევაში, ლიდერთა შორის ხვდებოდა. ახლა, ტურნირის სათავეში 12-12 ქულით ჩინეთის, რუსეთის და პოლონეთის გუნდები არიან.

მე-8 ტურში ქართველი ქალი მოჭადრაკეები შავი ფიგურებით ასევე 10-ქულიან სერბებს ეთამაშებიან.

წარუმატებელი დღე ჰქონდათ ქართველ ვაჟებსაც, რომლებიც იგივე ანგარიშით ინგლისთან დამარცხდნენ. მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი და კონსტანტინე შანავა შესაბამისად, მაიკლ ადამსს, გევეინ ჯოუნსს და დევიდ ჰოუელს დაუზავდნენ, ხოლო ლევან ფანცულაიამ ნაიჯელ შორტთან წააგო.

საქართველოს ნაკრები 9 ქულით 28-ე პოზიციაზე იმყოფება, მომდევნო შეხვედრას კი შავებით თურქეთის წინააღმდეგ ჩაატარებს.

# სიტი რონალდუს რეკორდის დამხობას რონალდუთი აპირებს

კრიშტიანო რონალდუმ „გრანადასთან“ მატჩში, „რეალის“ მაისურით გატანილი საიუბილეო, 150-ე გოლი არ აღნიშნა და მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ „სამეფო კლუბში“ თავს ბედნიერად ვერ გრძნობს.

ესპანური მედია დარწმუნებულია, რომ პორტუგალიელ სუპერვარსკვლავსა და კლუბს შორის განხეთქილების ვაშლი საკონტრაქტო დავა და ხელფასის ოდენობაა.

რონალდუს იმავე წამს გამოეხმაურა „მანჩესტერ სიტი“. ინგლისური მედია უკვე იმას ირწმუნება, რომ ინგლისის ჩემპიონი მზადაა, „რეალს“ 120 მილიონი ევრო გადაუხადოს, ხოლო პორტუგალიელ სუპერვარსკვლავს წელიწადში 20 მილიონი ევრო დაუნიშნოს გასამრჯელოდ.




შეგახსენებთ, რომ დღემდე მსოფლიოს ყველაზე უძვირესი ტრანსფერი იმავე რონალდოს „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ გადასვლა ითვლება — 96 მილიონი ევრო.

„ქალაქელები“ მზად არიან ამ რეკორდის დასამხობად. მოკლედ, „რეალი“ და მისი პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი რონალდოს ბუნტმა სერიოზული არჩევანის წინაშე დააყენა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

ლიბერია-მალავი ........................ 1:0

**არგენტინა. პირველი დივიზიონი**

ქილმესი-არხენტინოსი ............... 0:1

რასინგი-სან მარტინი ................. 3:1

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

ფერერი-გასკე ................. 7:5;7:6;6:4

**ქალები**

აზარენკა-სტოსური ........ 6:1;4:6;7:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# დათო ქაცარავა სომხურ მელოდრამაში გადაიღეს

ეკა ირემაშვილი

**ქართული ფილმებიდან კინომოყვარულებისთვის კარგად ცნობილი დავით ქაცარავა ამჯერად მაყურებლის წინაშე სომხური ფილმით წარდგება. „100 000 წამი“ — ასე ეწოდება მელოდრამას, რომელშიც დავით ქაცარავა და ლუიზა ნერსისიანი მონაწილეობენ. ფილმის რეჟისორი არა ერნჯაკიანია, პროდიუსერი — არშალუის არუთუნიანი, კომპოზიტორი — ჰაიკო, მწარმოებელი — „ერკატ პროდაქშენი“ (ერევანი, სომხეთი), ფილმი ჟანრობრივად მელოდრამაა.**

საქართველოს კინოთეატრებში ახალი სომხური ფილმის პრემიერა 6 სექტემბერს გაიმართება. დავით ქაცარავა ფილმის პრემიერისთვის განსაკუთრებულადღე მზადება და მაყურებლისგან თავის კიდევ ერთი ნამუშევრის შეფასებას ელოდება.

„სპამი“, „დიდგორი“, „მამაჩემის გელფრენდი“, „დავიწყებული მეფე“ — ეს იმ ფილმების ჩამონათვალია, რომელშიც დავით ქაცარავა მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი მსახიობი არ არის, იგი ქართული ფილმების გარდა, უცხოური ფილმების შექმნის პროცესშიც აქტიურად არის ჩართული. „დავიწყებული მეფე“ რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ გადაიღო და ამით მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როცა 105-წუთიანი უწყვეტი კადრით ფილმი შექმნა. ამ ფილმში მთავარი როლი დავით ქაცარავამ შეასრულა და ნამუშევარი შემოქმედებითმა ჯგუფმა კანის კინოფესტივალზეც წარადგინა.

მსახიობი, ბანკირი, ტელეწამყვანი, ოპერის მომღერალი, სპორტსმენი — ამ ყველაფერს დავით ქაცარავამ სხვადასხვა დროს „გაუსინჯა გემო“. არ მალავს, რომ მსახიობობა მისი ბავშვობის ოცნება იყო და აიხიდნა კიდეც, კინოგადაღებები კი მისთვის ყველაზე საყვარელი პროცესია. ამჟამად საქართველოს ჯომარდობის ფედერაციის ხელმძღვანელია, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ კინოში აქტიურად დაკავდეს და როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კინოფილმებშიც მიიღოს მონაწილეობა.



ქართველ მაყურებელს ჯერ არ უნახავს დავით ქაცარავას მონაწილეობით კიდევ ერთი ქართული ფილმი „გაიღიმეთ“, რომლის რეჟისორიც რუსუდან ჭყონიაა. ფილმი ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზეა წარდგენილი და მისი თბილისური პრემიერა მოგვიანებით არის დაგეგმილი.

უკვე საქართველოშია ფილმის „100 000 წამი“ რეჟისორი და დავით ქაცარავას პარტნიორი ლუიზა ნერსისიანი. ისინიც ქართველ მსახიობთან ერთად დიდი ინტერესით ელოდებიან თბილისური პრემიერის შემდგომ შეფასებებს როგორც კინოკრიტიკოსების, ასევე რიგითი მაყურებლების მხრიდან.

**დავით ქაცარავა:**

— პრემიერის წინ ძალიან ვნერვიულობ, საერთოდ ყველა ფილმის პრემიერის წინ ვნერვიულობ ხოლმე, მაგრამ ახლა უფრო მეტად. კი არ ვნერვიულობ, უფრო სწორედ მეშინია, იმიტომ რომ ქართველი მაყურებელი საკმაოდ პრეტენზიულია და განებივრებულია კარგი ფილმებით. რაც უფრო მოახლოვდა ფილმის პრემიერა, მით უფრო მემატება ნერვიულობის მომენტი.

***— მარტო იქნებით ფილმის თბილისურ პრემიერაზე თუ თქვენი სომეხი პარტნიორიც ჩამოვა?***

— ის უკვე თბილისშია. ლუიზა ნერსისიანთან ერთად თბილისში ჩამოსულია ფილმის რეჟისორი არა ერნჯაკიანიც. ყველანი დიდი ინტერესით ველოდებით თბილისურ პრემიერას და შეფასებებს, რომლებსაც მაყურებელი ამ სურათის ნახვის შემდეგ გააკეთებს.

***— სომხეთში უკვე იყო პრემიერა?***

— კი, სომხეთში პრემიერა უკვე შედგა და 4 თვე სრული ანშლაგებით მიდიოდა. ასევე პარალელური პრემიერა შედგა ლოს ანჯელესშიც, სადაც ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

***— ფილმი მალე გადაიღეთ?***

— კი, ფილმი 16 დღეში გადავიღეთ, თუმცა შემდგომი ეტაპი — მონტაჟი, გახმოვანება, რამდენიმე თვე გაიწელა. კარგი ფილმია, ულამაზესი ფერები და მუსიკა აქვს. იმედს ვიტოვებ, რომ ქართველ მაყურებელს მოეწონება.

***— ფესტივალებზე თუ გეგმავთ ამ ფილმის წაღებას?***

— კი, ფილმის შემქმნელები რუმინეთში აპირებენ ფილმის ჩატანას. ვგეგმავთ, ფილმი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ვაჩვენოთ, ჩავიტანოთ რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

***— ახალ ფილმზე მუშაობთ?***

— დიახ. ორი კვირის წინ მორჩა ახალი ფილმის გადაღებები, რომელშიც როგორც მსახიობი, ისეც ვმონაწილეობ და მისი პროდიუსერიც ვარ. ფილმი ქართული წარმოებისაა, თუმცა ქართული ფილმისთვის საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი. ამ ფილმის გარდა, დამამტკიცეს ყაზახურ ფილმში და თუ ტექნიკური საკითხები შევათანხმეთ, მაშინ ამ ფილმზე სამუშაოდ ყაზახეთში მომიწევს წასვლა.

# ეროვნულ არქივს ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტის დელეგაცია ეწვია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენლები რიტა კალკონი და მაიკლ ვერმოტი მიიღო.

— ეროვნულ არქივში ჩამოსულმა სტუმრებმა ეროვნულ არქივს ბელგიელი პოლიტიკოსის კამილ ჰიუსმანსის არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული ასლები გადასცეს. დოკუმენტებს შორისაა კამილ ჰიუსმანსის საქართველოსთან დაკავშირებული მიმოწერა ბრიუსელში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, კოპენჰაგენში, ვარშავასა და თბილისში 1920-22 და 1924 წლებში. ასევე მასალები, ბროშურები, მოხსენებები საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჰიუსმანსი 1920 წელს საქართველოში ჩამოსული მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წევრი იყო, — განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

თეონა იაშვილისა და ბელგიელი სტუმრების შეხვედრაზე საუბარი შეეხო 2013 წელს ბელგიაში, ქალაქ გენტში ერთობლივი გამოფენის მოწყობის საკითხებს. გადაწყდა, რომ ექსპოზიციისთვის შეირჩევა მასალა ეროვნულ არქივში დაცული დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციიდან, თუმცა ერმაკოვის ფოტოების გამოფენამდე ის თბილისში ფიროსმანის სახლ-მუზეუმშია გამოფენილი, სადაც იმ პერიოდის თბილია აღბეჭდილი, როდესაც დიმიტრი ერმაკოვი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. საინტერესო ის ფაქტიც, რომ დიმიტრი ერმაკოვის ფოტოების პარალელურად, მუზეუმში ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატებიც არის გამოფენილი, რომელიც მაშინდელ თბილისს აცოცხლებს. „ფიროსმანი და მისი დრო“ — ასე ჰქვია ამ ექსპოზიციას, რომელიც ნიკალას 150 წლის იუბილეს ეძღვნება. დიმიტრი ერმაკოვისა და ფიროსმანის ნამუშევრებში XIX საუკუნის თბილისია აღბეჭდილი.

დიმიტრი ერმაკოვის ნამუშევრების ბელგიაში გამოფენასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების შესათანხმებლად 18 სექტემბერს ეროვნულ არქივს გენტის ისტორიული სახლის ფოტოგამოფენებისა და განათლების სფეროს ხელმძღვანელი ანკე ჰაენი ეწვევა და კინოფოტოფონოდოკუმენტების არქივში დაცულ მასალას გაეცნობა.

— ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტსა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის თანამშრომლობა ერთი წლის წინათ დაიწყო და მომავალში არაერთი ერთობლივი და საინტერესო პროექტის განხორციელება იგეგმება, — განმარტავს ეროვნული არქივის წარმომადგენელი.

# ელდარ შენგელაიას სპეციალური პრიზით დააჯილდოვებენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ადგილი — კინოფესტივალის გახსნა-დახურვის ცერემონიის მოსაწვევი, კინოფესტივალის აბონემენტი, გახსნა-დახურვის ბანკეტის მოსაწვევი 2 ადამიანზე, პლუს იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული არ არის ბათუმში მცხოვრები, ბიაფის მენეჯმენტი უზრუნველყოფს გამარჯვებულის ტრანსპორტირების და საცხოვრებელი ხარჯების დაფარვას. მეორე ადგილის მფლობელს გადაეცემა კინოფესტივალის დახურვის ცერემონიის მოსაწვევი 2 ადამიანზე და კინოფესტივალის ანობონემენტი, კინოფესტივალის ერთ-ერთი წვეულების მოსაწვევი 2 ადამიანზე. მესამე ადგილის მფლობელი მიიღებს კინოფესტივალის დახურვის ცერემონიის მოსაწვევს 2 ადამიანზე და კინოფესტივალის ანობონემენტს. თუ რომელიმე კომპანია დათანხმდება დამატებითი პრიზების დაწესებას შესაძლებელია ზემოჩამოთვლილს დაემატოს დამატებითი პრიზები, რის შესახებაც ინფორმაცია მოწოდებული იქნება ჩვენს ფეისბუქის გვერდზე. გამარჯვებულად დასახელდება ის სამი პიროვნება, რომელიც 12 სექტემბერს, ზუსტად 12.00-ზე იქნება პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე საკონკურსო რეიტინგში და ეყოლება ყველაზე მეტი მოწვეული მეგობარი, — აცხადებს კინოფესტივალის მენეჯერი ზვიად ელიზიანი.

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც უკვე მეშვიდე წელია ტარდება, წარმოადგენს ქვეყანაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებას. კინოფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით სხვადასხვა წელს იმყოფებოდნენ — კრისტოფ ზანუსი, იერჟი რაძივილოვიჩი, იერჟი შტური ზბიგნევ რიბჩინსკი (პოლონეთი), იოს სტელინგი (ჰოლანდია), ნინო კირთაძე, ნანა ჯორჯაძე, ირაკლი კვირიკაძე (საქართველო), მანიჯე ჰეკმათი, დარიუშ მეჰრჯუი, მოჰსენ ამირუსაფირი, აბას კიაროსტამი (ირანი), პაველ პავლიკოვსკი (დიდი ბრიტანეთი), მიხეილ კობახიძე (საფრანგეთი), სიდიქ ბარმაკი (ავღანეთი).

— ბიაფის კინოფესტივალის მენეჯმენტმა დაასრულა კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსის ჟიურის და მოკლემეტრაჟიანი ფილმების შერჩევა. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსის ჟიურიში გაერთიანებული არიან ჟიურის თავმჯდომარე სიტორა ალიევა (რუსეთი), კრზისტოფ კოპეზინსკი (პოლონეთი), ირინა რომანჩენკო (უკრაინა), მაიკლ კლიმკიევიჩი (პოლონეთი) და დავით ჯანელიძე (საქართველო). კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციაში საკუთარ ნამუშევრებს წარადგენენ ქართველი რეჟისორები ტატო კოტეტიშვილი, სალომე სალარაძე და სოსო ბლიაძე. მათთან ერთად საკუთარ ფილმებს წარმოადგენენ სომეხი, აზერბაიჯანელი, ირანელი, პოლონელი, ალბანელი, რუმინელი, კოლემბიელი, ბულგარელი, ესტონელი, ფრანგი, გერმანელი, ებრაელი, რუსი, შვეიცარიელი, ინგლისელი რეჟისორები. მთლიანობაში ამ კონკურსზე ჟიურის 25 ფილმის შეფასება მოუწევს.

ევროპის კინოაკადემიის პროგრამა „შორტ მეტერს!“ — მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექციაში გაერთიანებულია ექსპერიმენტული, დოკუმენტური და სრულმეტრაჟიანი ფილმები. კოლექციაში შეტანილია დანიის, რუმიენთის, ავსტრიის, შვედეთის, გერმანიის, პოლონეთის, ისრაელის, ბელგიის, ესპანეთის, შვედეთის და იტალიის კინოპროდექციები.

ბათუმის საავტორო კინოფესტივალის ხელმძღვანელობამ ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად უკვე განახორციელა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა კინემატოგრაფების ტალანტების აღმოჩენასა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია „ღია ბარათი“-ის ტიპის ფილმების სერიის შექმნა, რომლებიც რეგიონებში და საერთაშორისო მასშტაბით გავრცელდება და ესტაფეტის სახით გაგრძელდება.

— ეს პროექტი დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბერში და ჩატარდება ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის მიმდინარეობისას. სემინარებს ჩაატარებენ საგანგებოდ მოწვეული ტრენერები — ელხუმ შაკერიფარდი და ედ ოულსი. პროექტი ასევე მოიცავს მასტერკლასებს ცნობილი ბრიტანელი კინორეჟისორის შონ მაკალისტერის მიერ. ჩვენ ვიმუშავებთ მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღებაზე სამ ჯგუფთან ერთად მთელი კვირის მანძილზე. თითოეული ჯგუფი შედგება 4 ადამიანისგან, რომლებიც ჩართული იქნებიან გადაღებებში, ასევე ისარგებლებენ ტრენერების რჩევებით საკითხებში, როგორიცაა მონტაჟი, პიტჩინგი და პროდიუსინგი, — აცხადებს ფესტივალის მენეჯერი ზვიად ელიზიანი.

# ტომ კრუზი საიენტოლოგების მიერ საცოლეების შერჩევის ცნობას უარყოფს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

უპასუხო დარჩა. ამის გამო ბონიადის საიენტოლოგიის ხელმძღვანელებმა ზურგი აქციეს, მალე მან საერთოდ დატოვა საიენტოლოგების რიგები და ტომ კრუზის საცოლის შერჩევის პროცესი თავიდან დაიწყო.

პოლ ჰაგისი დიდი ხანია რაც ნაზანინ ბონიადის იცნობს და დაადასტურა, რომ გოგონა ამჯობინებს ამ ისტორიაზე არ ილაპარაკოს.

მასთან განშორებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ტომ კრუზი საიენტოლოგი მეგობრების მიერ ორგანიზებულ წვეულებაზე ქეთი ჰოლმსს შეხვდა.

გასულ თვეში ცნობილი გახდა, რომ ტომ კრუზი და ქეთი ჰოლმსი ერთმანეთს დაშორდნენ, თანაც განქორწინების ინიციატორი ჰოლმსი იყო. ქეთი ჰოლმსმა შვილზე, ექვსი წლის სურიზე მეურვეობის ერთპიროვნული უფლება მოიპოვა. მშობლებმა განაცხადეს, რომ განქორწინება შვილის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტეს.

ამჟამად 50 წლის ტომ კრუზი ხორვატიაში ისვენებს, ისევე, როგორც 2004 წელს, პენელოპა კრუსთან განშორების შემდეგ.

გ.თ.



## hჰჯცეჯჰღბ ,

**შვეულად:** 1. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 2. დანალექი, შლამი მდინარის, ტბის ფსკერზე; 3. ოსური ხაჭაპური; 4. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 5. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მდინარე კახეთში; 9. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 10. ჩქარტემპიანი მექსიკური ხალხური ცეკვა; 12. კუთხე საქართველოში; 13. სახელმწიფო აზიაში; 15. შექსპირის ტრაგედია.

**თარაზულად:** 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 6. კომუნიკაციის საშუალებათა, გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია და რადიოს ერთობლიობა; 7. სატანვარჯიშო იარაღი; 10. მოკლე კინო-სარეკლამო რგოლი; 11. მრწამსი, რწმენა, მსოფლმხედველობა; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. გურიასა და აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. უბანი თბილისში; 17. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 18. ქართული რადიო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღ.ყ,ე,ბ hჰჯცეჯჰღ,ბც გფცეკ,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ხრიდოლი; 2. პალანგა; 3. ტრიუმო; 4. ბაქია; 5. აბრსკილი; 7. შჩი; 11. ნუნისი; 15. მხევალი; 16. „მიმინო“; 17. „სააბი“; 18. როვნო; 20. ტუმბო; 22. ნიცა.

**თარაზულად**: 6. რატუშა; 8. ფაიფური; 9. ნექტარი; 10. დენტინი; 12. ბამბა; 13. არიკი; 14. დანსინგი; 19. პრელატი; 21. მაწონი; 23. ობამა; 24. აბზაცი; 25. ალგებრა; 26. ფორპოსტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ყელი; 2. „აია“; 3. ჰამილტონი; 4. ნაძვი; 5. ჯანდაგი; 8. ბორი; 9. ბეთანია; 10. საფიჩხია; 12. სლენგი; 13. ალილო; 15. უწერა.

**თარაზულად**: 1. ყეენობა; 6. დაბახანა; 7. ლობიო; 10. სპიჩი; 11. ფრაჟე; 13. „ასაჰი“; 14. კრუპი; 16. ნომი; 17. იპოთეკა; 18. „შალახო“.

# ბარაკ ობამას დღეს ოფიციალურად წარადგენენ



დღეს აშშ-ის „დემოკრატიული პარტია“ საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედ პრეზიდენტს ბარაკ ობამას ოფიციალურად წარადგენს.

ბარაკ ობამა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოვიდა, მან 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში „რესპუბლიკური პარტიის“ კანდიდატი ჯონ მაკკეინი დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წლის ნოემბერში გაიმართება. ბარაკ ჰუსეინ ობამა აშშ-ის პრეზიდენტია 2009 წლის 20 იანვრიდან. ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით. პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში. ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად ის მეხუთე აფრიკელი-ამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩა, და ერთადერთი აფრიკელი-ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში.

# ევროზონაში უმუშევრობამ უკვე 18 მლნ ადამიანს გადააჭარბა

ევროკავშირის 17 სახელმწიფოში უმუშევართა რაოდენობამ უკვე 18 მლნ ადამიანს გადააჭარბა. ივლისში სამუშაო ადგილის გარეშე 88 ათასი ადამიანი დარჩა, რამაც უმუშევრობის დონე 11,3 %-ით გაზარდა.

აგვისტოში გერმანიაში უმუშევართა რიგებს კიდევ 29 ათასი ადამიანი შეუერთდა და ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობამ 2,91 მლნ შეადგინა.



ანალიტიკოსების განმარტებით, ევროპაში უმუშევრობის ისეთი დონე, როგორიც დღესაა 1995 წლის შემდეგ აღარ ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ ბულგარეთმა ევროზონაში შესვლა რეგიონში ფინანსური კრიზისის გამო გადადო, ამის შესახებ „უოლ სტრიტ ჯორნალთან“ საუბრისას ბულგარეთის ფინანსთა მინისტრმა სემიონ დიანკოვმა განაცხადა.

მინისტრის განმარტებით, ის ევროზონაში გასაწევრიანებლად ქვეყნისთვის ვერანაირ სარგებელს ვერ ხედავს. მისივე განმარტებით, ევროზონაში თამაშის წესები ხშირად იცვლება, რაც ბულგარეთისთვის საკმაოდ სარისკოა.

# ევროკავშირი სერბეთს კოსოვოს აღიარებისკენ მოუწოდებს

ევროკავშირი სერბეთს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ევროპარლამენტის თავმჯდომარემ მარტინ შულცმა სერბეთის მთავრობის თავმჯდომარესთან, ივიც დაჩიჩთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

— ევროპარლამენტი ასეთ დეტალებში არ ერევა, ამით დაკავებულნი არიან დიპლომატები. თუმცა ევროკავშირი სერბეთს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდებს, — განაცხადა შულცმა და დასძინა, რომ მთავარი მიზანი ამ საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაა.

თავის მხრივ, დაჩიჩმა თქვა, რომ სერბეთი ევროკავშირთან თანამშრომლობისთვის მზად არის. ბელგრადსა და პრიშტინას შორის ურთიერთობების ნორმალიზება ევროკავშირში სერბეთის გაწევრიანების პროცესის განვითარებისთვის მთავარი პირობაა.



კოსოვო, ოფიციალური სახელი სერბეთის კონსტიტუციის მიხედვით, კოსოვოსა და მეტოხიას ავტონომიური მხარე, ოფიციალური თვითდასახელება კოსოვოს რესპუბლიკა. რეგიონი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

# ნასა“ ავიაციაში ახალ სიტყვას ამბობს — მფრინავი ვარსკვლავი



აშშ-ის კოსმოსური სივრცის კვლევის სააგენტო (ნასა) იწყებს ახალი პროექტის — მომავლის თვითმფრინავის შექმნას, რომელიც ავიაციის განვითარებაში ახალი სიტყვა იქნება. ეს არის ზებგერითი თვითმფრინავი, რომელიც ამჟამად მხოლოდ კონცეფციის სახით არსებობს, მაგრამ მან უკვე მოიპოვა მნიშვნელოვანი პოპულარობა მედიაში. უმთავრესად მისი ტექნიკური მახასიათებლები და განსხვავებული ფორმა სახელდება.

გარეგნულად თვითმფრინავი ოთხქიმიან ვარსკვლავს ჰგავს. ბრტყელი „ტანი“ გვერდებში ორი გრძელი ფრთა, ხოლო მეორე წყვილი ფრთების უფრო მოკლეა და პერპენდიკულარულად არის განლაგებული.

აფრენისას თვითმფრინავი იყენებს გრძელ ფრთებს, მაგრამ ჰაერში, როდესაც მისი სიჩქარე ბგერის სიჩქარეს უახლოვდება – 1,2 ათასი კმ/სთ, ის ტრიალდება 90 გრადუსით და მოკლე ფრთებით მიფრინავს, რითაც საუკეთესო აეროდინამიკულ მაჩვენებელს აღწევს და გადადის ზებგერით სიჩქარეზე.

ამ კონსტრუქციის უპირატესობად სახელდება ხმის დარტყმის გადალახვა ყოველგვარი პრობლემის გარეშე. ხმის დარტყმის პროცესი ისეთი ძლიერია, რომ თავის დროზე ის რამდენიმე სახეობის ზებგერით საფრენი აპარატის აკრძალვის მიზეზიც კი გახდა. ამ დრომდე ავიაკონსტრუქტორებმა ვერ შეძლეს ხმის დარტყმის გავლენის შემცირება ცოცხალი ორგანიზმისთვის საჭირო ზღვრამდე.

ამ თვითმფრინავის უპირატესობად ისიც ითვლება, რომ მას შეუძლია ბგერის სიჩქარეზე ორჯერ მეტი სიჩქარის – 2,4 ათასი კმ/სთ განვითარება.

თვითმფრინავის შექმნის პირველი ეტაპისთვის „ნასამ“ უკვე გამოყო 100 მილიონი აშშ დოლარი.

ნასა, აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოა აშშ-ში. დაარსდა 1958 წლის 29 ივლისს.

არსებობის 54 წლის მანძილზე, „ნასას“ ბევრი დამარცხება და ბევრად უფრო მეტი გამარჯვება ხვდა წილად. ის იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი იარაღი და ფლაგმანი კოსმოსურ რბოლაში საბჭოთა კავშირთან. კოსმოსის კვლევისა და ათვისების საკითხებში საბჭოეთის პიონერობა და წარმატებები აღმოჩნდა ის კატალიზატორი ამერიკისთვის, რომელმაც სათავე დაუდო დღეისათვის ისეთ ძლიერ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს როგორიცაა „ნასა“, რომელსაც თავისი მასშტაბურობითა და პროექტების გრანდიოზულობით ვერ შეედრება ვერც ერთი ევრაზიული კოსმოსური ცენტრი.

# მიშელ ობამა: ბარაკმა იცის ამერიკული ოცნება იმიტომ, რომ მან იქ იცხოვრა“

აშშ-ის პირველი ლედი მიშელ ობამა ქალაქ შარლოტში დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა.



„ბი-ბი-სის“ ცნობით, მიშელ ობამას სიტყვით გამოსვლა ემოციური იყო და მის მიზანს წარმოადგენდა ამომრჩევლის დარწმუნება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ბარაკ ობამა ხელახალი ვადით აერჩიათ.

— ბარაკმა იცის ამერიკული ოცნება იმიტომ, რომ მან იქ იცხოვრა და მას სურს, რომ ყველას ამ ქვეყანაში ჰქონდეს ასეთივე შესაძლებლობა იმისგან დამოუკიდებლად, ვინ ვართ ჩვენ, საიდან ვართ, როგორ გამოვიყურებით და ვინ გვიყვარს, — აღნიშნა მიშელ ობამამ.

დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ბარაკ ობამა პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად წარადგინეს.

ობამა მისი ხელახლა არჩევის შემთხვევაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემების ევროპულ ობიექტებზე უარს არ იტყვის, თუმცა ის რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკის გაგრძელების პირობას დებს. ამის შესახებ „დემოკრატიული პარტიის“ ყრილობის პროგრამაშია აღნიშნული.

ობამას სურს, რომ ვაშინგტონმა და მოსკოვმა ბირთვული არსენალის შემცირებაზე მუშაობა განაგრძონ და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მისი გამოცდების აკრძალვას მიაღწიონ.

ბარაკ ობამას თქმით, აშშ-სა და რუსეთს შორის 2010 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, მაშინ, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტობის „რესპუბლიკელი კანდიდატი“ მიტ რომნი მსგავსი დოკუმენტის მიღების წინააღმდეგია და რუსეთს აშშ-ის მთავარ მტერს უწოდებს.

შეგახსენებთ, რომ მიტ რომნის არაერთხელ გაუკეთებია განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ-ის რუსეთთან დაახლოება მისი ქვეყნისთვის საკმაოდ სახიფათოა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ვლადიმერ პუტინს „ტირანი“ და „საყოველთაო უსაფრთხოების მტერი“ უწოდა. ეს სკანდალური განცხადება „რესპუბლიკელმა“ კანდიდატმა მიმდინარე წლის მარტში გააკეთა. ანტისარაკეტო თავდაცვის ევროპულ ობიექტებზე საუბრისას, მან რუსეთს „ნომერ პირველი სტრატეგიული მტერი“ უწოდა.

2 სექტემბერს გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, ბარაკ ობამასა და მიტ რომნის რეიტინგები უკანასკნელ პერიოდში ერთმანეთს გაუთანაბრდა. აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები 6 ნოემბერს გაიმართება.

# ანდერს ფოგ რასმუსენი: ნატო თურქეთის დასაცავად მზად არის!“

ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განმარტებით, ნატო მზად არის თურქეთის დასაცავად ყველა ზომა მიიღოს.

ამის შესახებ ინფორმაციას „სალამნიუსი“ თურქეთის საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ნატოს გენერალური მდივნის თქმით, სირიაში შეჭრის გეგმა არ არსებობს, ერთი მხრივ, თურქეთის ნატოს წევრობის გამო. ის განმარტავს, რომ სირიაში არსებულ ვითარებას თვალყურს ადევნებენ.

— ჩვენ არ ვგეგმავთ სირიის კონფლიქტში ჩარევას. ნათელია, რომ ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ ყველა ზომა ალიანსის წევრი თურქეთის დასაცავად, — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ნატო ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომლის მიზანს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება წარმოადგენს.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ალიანსის წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ნატო იცავს მოკავშირეების დემოკრატიის საერთო ფასეულობებს, პიროვნების თავისუფლებას, კანონის უზენაესობასა და უზრუნველყოფს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას.

ნატო არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ყველა გადაწყვეტილება მიიღება წევრი ქვეყნების მიერ კონსენსუსის საფუძველზე.

ალიანსში გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი ორგანო არის ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომლის სხდომებს ნატო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა ბარიერებმა ევროპის კონტინენტი ორად გაყვეს. დასავლეთ ევროპაზე საბჭოური გავლენის აღმოსაფხვრელად და ევროპის სახელმწიფოების დაცვის მიზნით, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში 1949 წლის 4 აპრილს, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე, ათი ევროპული და ორი ჩრდილოამერიკული დამფუძნებელი ქვეყნის მიერ დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. დამფუძნებელი წევრების მთავარი მიზანი იყო წინ აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე.

ხელშეკრულების ხელმოწერით წევრებმა ვალდებულება აიღეს, ერთობლივად დაეცვათ საკუთარი თავისუფლება და უსაფრთხოება როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებებით.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

კვარაცხელიების საგვარეულო კავშირის გამგეობა თანაუგრძნობს გრამიტონ კვარაცხელიას მეუღლის

**ვალიდა კაპიტონის ასულ მახარაძის**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 6, 7 სექტემბერს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 8 სექტემბერს, 15 საათზე.

მისამართი: თბილისი, სოფელი დიღომი, სარაჯიშვილის 41.

**ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7 !@–ლფყ !& ცფფსფვლტ8**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 6 სექტემბერი**

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ.ფ. "დრაკონების მუზეუმი". **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.30** მოამბე **09.10** ან. ფ."ფილმი ფუტკარზე" **10.30** მხ. ფ. **"ცალრქას მოგზაურობა"** **12.45** მხ. ფ. **"ყასაბის ცოლი"**დ. მური. **14.30** აღმოაჩინე საქართველო. **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** დოკ. ფ. "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მონადირე"**. **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** დიალოგი დ.პაიჭაძესთან. **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **00.00** სი-ბემოლი. **01.00** მხ. ფილმი **"მოლ ფლანდერსი"** (მ. ფრიმანი) **03.00** საფარი. **03.50** მხ. ფ.**"სერიული მკვლელი"** **05.20** დოკ. ფ. "რობინ ორლემი: იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე".

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **11.00** დოკ.ფ. "უძველესი აღმოჩენები". **14.00, 16.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **17.00** დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები – იორდანია – უდაბნოს სამეფო" **20.00** მხ.ფ. **"შეკლეტონი"**1-სერ. **00.00** მხ. ფ. **"ელიზაბეთთაუნი"**

**07.30, 08.10, 09.15** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 05.00, 07.00** ქრონიკა. **10.05** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** ქრონიკა + **11.50** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ. **14.40** სიმართლეს დრო **15.40** სერ. **"მოჯადოებული"** **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ქართ. სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **00.00** ღამის შოუ. **01.00** თბილის LIVE. **02.10** მხ.ფ. **"უცხოპლანეტელი 3"** (ს. უივერნი) **04.00** მხ.ფ. **"პირდაპირი მოქმედება"**(12) დ. ლუნდგრენი. **05.50** მუსიკა.

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"**. **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"**. **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები. **13.00** შუადღე. **15.30** სერ. **"თანამედროვე ოჯახი"** **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** სერ.**"ალუბლების ქუჩა 12"** **00.00** MTV PUNK'D **00.30** MTV Boyling Points **01.00** მხ.ფ. (ტიტ.) **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**08.00** ან.ფ. "პრინცესა შეჰერაზადა". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ.ფ. **12.15** სერ. **"პოლიციელთა ამბები"** **13.00** მხ.ფ. **15.15** პულსი (გან.) **15.45** ან.ფ. **17.10** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **18.00** მხ.ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ.ფ. **23.50** მხ.ფ. **01.50** მხ.ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 15.15** დოკ.ფ. **10.30** დოკ.ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერიალი **"საგა"** **12.50** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **13.50** სცენა **15.15** დოკ. ფ. **16.00** დოკ. ფ. **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **19.30** ანონსი. **19.35** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **23.00** მხ. ფ. **"დიდი ღრეობა"** **02.00** მხ. ფ. **"წარმოუდგენელი"**

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი. **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.05, 12.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური. **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება. **10.40** დოკ. ფ. "პირიქითა ხევსურეთი". **11.10** ირაო. **11.20** ჩვენი ტრაპეზი. **11.30** გზა, რომლითაც ვიარე. **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **12.05** ამინდი. **12.15** მხ. ფ. **"იმერული ესკიზები"**. **13.30** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10, 00.35** განთიადის სტუმარი. **15.35** დოკ. ფ. "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". **16.00** დები ტრევისის საოცარი სახლი. **16.25** დოკ. ფ. "ველური ბუნება". **16.35** დოკ. ფ. "იერუსალიმი". **16.50** მხ. ფილმი **"მამალუქი"**. **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.25** დიდ ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** მხ. ფ. **"ჩარირამა"**. **20.40** ძილი ნებისა. **21.00** პატრიარქის ქადაგება. **21.05** ერთსულოვნების სალონი. **22.25, 23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. **23.00** საღამოს ლოცვა. **01.00** მხ. ფ. **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** **11-12** სერ.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 seqtemberi

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6421 | ევრო —2,0162 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779 | რუსული რუბლი — 0,0512 |

**ამინდის პროგნოზი 6 სექტემბრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 27–30, ღამით — 11–16

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 26–29, ღამით — 16–18

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 22–23, ღამით — 7–12





seqtemberSi

ახალ თაობასთან“

ერთად

უნიკალური გამოცემა

cfmfhsdtkjcbcnjhbf

ერთ წიგნად/

დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია სამეცნიერო–პოპულარული ნაშრომია, გამიზნული როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის. მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2009 წლამდე.


## საქართველო 11 ადგილით დაწინაურდა

გუშინ გამოქვეყნდა ფიფა-კოკა-კოლას ახალი რეიტინგი, რომლის თანახმად საქართველოს ეროვნული ნაკრები 11 საფეხურით დაწინაურდა და 405 ქულით 86-ე ადგილზე გადაინაცვლა. ეს ძირითადად ლუქსემბურგთან სტუმრად მოგებულმა მატჩმა განაპირობა.




ახლა საქართველოს ნაკრებს გაცილებით რთული თვე დაუდგება, რადგან მომავალი რეიტინგის გამოქვეყნებამდე ორი ძნელი მატჩი ელის — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ბელარუსთან და ესპანეთთან.

რეიტინგისას კი სწორედ ესპანეთი ლიდერობს 1617 ქულით, ერთი პოზიციით დაქვეითდა და მე-15 ადგილზეა საფრანგეთის ნაკრები, რომელსაც 965 ქულა აქვს. წინა თვის პოზიცია შეინარჩუნა ბელარუსმა და 443 ქულით 76 ადგილზე იმყოფება. ფინეთმა კი კატასტროფული ვარდნა განიცადა და ერთბაშად 24 პოზია დაკარგა. სკანდინავიელებს, ახლა 365 ქულა აქვთ და 96-ე ადგილზე არიან.

ესპანელთა პირველობაზე უკვე გითხარით, არ შეცვლილა მდგომარეობა სამეულში – მეორე ადგილზე გერმანია, რომელსაც კვალდაკვალ ინგლისი მიჰყვება. პორტუგალიამ და ურუგვაიმ 4-5 ადგილები გაცვალეს და ახლა წინ პირინეიელები არიან. სხვა ცვლილება ათეულში არ მომხდარა, რომელიც ასე გამოიყურება:

1.ესპანეთი — 1617 ქულა
2.გერმანია — 1437
3.ინგლისი — 1274
4.პორტუგალია — 1232
5.ურუგვაი — 1217
6.იტალია — 1174
7.არგენტინა — 1121
8.ჰოლანდია — 1044
9.ხორვატია — 1020
10.დანია —1006

მ. ჟ.

## ტომ კრუზი საიენტოლოგების მიერ საცოლეების შერჩევის ცნობას უარყოფს

ჰოლივუდის ვარსკვლავმა ტომ კრუზმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ყოფილი მეუღლე ქეთი ჰოლმსი მას საიენტოლოგიის ეკლესიის ლიდერებმა შეურჩიეს ათობით კანდიდატთან ინტერვიუების ჩატარების შემდეგ.

ჟურნალ ვენითი ფეას ინფორმაციით, 2004 წელს საიენტოლოგიის ეკლესიის მესვეურებმა მიიჩნიეს, რომ



ჰოლივუდის ერთ-ერთი ვარსკვლავისა და საიენტოლოგიის თვალსაჩინო აქტივისტის პირადი ცხოვრების თვითდინებაზე მიშვება არ შეიძლებოდა.

პენელოპა კრუსთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ მათ გადაწყვიტეს სპეციალური „ქასთინგი“ ჩაეტარებინათ და ტომ კრუზისათვის ისეთი საცოლე შეერჩიათ, რომელიც საიენტოლოგიის ეკლესიისათვის საშიში არ იქნებოდა.

სპეციალური რეპორტაჟი სახელწოდებით „რა არ იცის ქეთიმ: ქორწინება საიენტოლოგიის სტილში“ ჟურნალის ოქტომბრის ნომერში უნდა გამოქვეყნდეს. ტომ კრუზის წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს, რომ მსგავსმა პუბლიკაციებმა მსახიობის რეპუტაციას ზიანი შეიძლება მიაყენოს.

ტომ კრუზის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მსგავსი ცნობები სხვა არაფერია თუ არა სიცრუე, რომელიც ყოველთვის სიცრუედ დარჩება, ხოლო მისი გავრცელება მიზნად მხოლოდ ჟურნალის ტირაჟის გაზრდას ისახავს.

თუმცა რეჟისორისა და სცენარისტის, წარსულში ცნობილი საიენტოლოგის, ამჟამად კი ამ ეკლესიის თავგამოდებული მოწინააღმდეგის, პოლ ჰაგისის გამოსვლამ ცეცხლზე ნავთის გადასხმის ეფექტი მოახდინა. მან გამოაცხადა, რომ ვენითი ფეას მიერ გამოქვეყნებული ვერსია ტომ კრუზისათვის საცოლის შერჩევის თაობაზე სულაც არ არის სიცრუე და საიენტოლოგიის ხელმძღვანელები ჰოლმსთან ქორწინებამდე ტომ კრუზის პირად ცხოვრებას მართლაც აკონტროლებდნენ.

ტომ კრუზმა ქეთი ჰოლმსთან შეხვედრები 2005 წელს დაიწყო. მაშინ ჰოლმსი 26 წლისა იყო. ტომ კრუზი მასზე 16 წლით უფროსია. მათ 2006 წლის ოქტომბერში იქორწინეს, რომის მახლობლად მდებარე ოდესკალკის ციხე-სიმაგრეში და საქორწინო ცერემონიალი საიენტოლოგების წესებით წარიმართა.

ქორწინებას წინ უსწრებდა სხვა გოგონებთან ნაცნობობის ხანგრძლივი და მოსაწყენი პროცედურა, რომელსაც საიენტლოგების ეკლესიის ლიდერის, დეიდ მიცკევიჩის მეუღლე შელი მიცკევიჩი ხელმძღვანელობდა.

შელიმ ტომ კრუზს ირანული წარმოშობის 25 წლის ბრიტანელი მსახიობი ნაზანინ ბონიადი შეურჩიეს. იგი საიენტოლოგიის ეკლესიის წევრი იყო და იძულებული გახდა ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შეთანხმებისათვის მოეწერა ხელი. ტომ კრუზთან შეხვედრამდე, თავისი სულიერი მოძღვრების რეკომენდაციით, იგი თავის საქმროსაც გაშორდა.

ბონიადი ლონდონიდან ნიუ იორკში ჩაიყვანეს, სადაც იგი ტომ კრუზს შეხვდა. რესტორანში ვახშმობისა და როკფელერ ცენტრში ციგურაობის შემდეგ მათ ღამე ერთად გაატარეს.

მათი შეხვედრები 2004 წლის ნოემბრიდან 2004 წლის იანვრამდე ვრცელდებოდა. გოგონას შეუყვარდა ტომ კრუზი, თუმცა მისი გრძნობა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## fcnhjjghjuyjpb ^ სცმნტ3,ჰბსსღბს

·ღტჯფ3 უფბსღფჯბცობყტს=

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ამ დღეს მოუთმენლად ელოდით. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** — ახალი ნაცნობი მოგეწონებათ. **ქალწული** — საღამო მშვენიერი იქნება, დაჯილდოვდებით. **სასწორი** — თავს დამნაშავედ იგრძნობთ და სიტუაციის გამოსწორებას შეეცდებით. **ღრიანკალი** — თუ მოითმენთ, მოიგებთ კიდეც. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის სიურპრიზი აქვს. **თხის რქა** — ფული გაქვთ, პრობლემა მოხსნილია. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, გადაღლილი ხართ. **თევზები** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ.

უბცე3ღტ,ს ,ტღყბტ3 ღქტს=

## იუმორი



— მიჭირს დიაგნოზის დასმა. ეს ალბათ ალკოჰოლიზმის ბრალია!

— კარგი, ექიმო, რომ გამოფხიზლდებით, მერე მოვალ...

❖ ❖ ❖

— ჩემი ცოლი გახდომას აპირებს და რეგულარულად ცხენით სეირნობა დაიწყო.

— მერე, შედეგი?

— ცხენმა ათი კილო დაიკლო.

❖ ❖ ❖

— როგორია წესიერი ქალი?

— წესიერია ქალი, რომელსაც ერთი ქმარი და ერთი საყვარელი ჰყავს.

— ეგ ხომ უწესოა?

— უწესოა ქალი, რომელსაც ერთი ქმარი და რამდენიმე საყვარელი ჰყავს.

— ეგ ხომ ხელიდან წასული ქალია.

— ხელიდან წასულია ქალი, რომელსაც არც ქმარი ჰყავს და არც საყვარელი.

— ეგ მარტოხელაა.

— მარტოხელაა ქალი, რომელსაც მარტო ქმარი ჰყავს...

❖ ❖ ❖

— შენზე გავიგე, ცოლი მოიყვანაო. რა ბზიკმა გიკბინა?

— ბოზებში წანწალი მომბეზრდა.

— ახლა?

— ახლა მინდა...

გ. თ.

## h3xცღx3ლბ ფ

**შვეულად:** 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 3. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 4. თეატრალური სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 5. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 7. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 11. თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 15. შავი ზღვის ზვიგენი; 16. იზოლირებული სადენი; 17. ვეშაპებზე საბრძოლო სატყორცნი იარაღი; 18. უმთვარო, ბნელი ღამე; 20. კოვბოების შეჯიბრი; 22. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე.

**თარაზულად:** 6. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 8. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 9. თხევადი საპონი; 10. ლონდონში, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სათამაშოების მაღაზია; 12. შავი ფერის ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 13. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 19. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 21. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 23. სპორტის სათამაშო სახეობა; 24. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 25. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 26. ქვეწარმავალი ანუ ...

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




**სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი „XXI საუკუნე“ აცხადებს მიღებას:**

- ფარმაცევტის თანაშემწე (V საფეხური)
- ტუროპერატორი (III, IV, V საფეხური)
- გიდი (I, II, III, IV საფეხური)
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (III საფეხური)
- ბუღალტერი (III, IV, V საფეხური)

I, II, III საფეხურზე მიიღებიან გასაუბრების წესით საბაზო (9-კლასდამთავრებულები) და საშუალო (12-კლასდამთავრებულები)

IV-V საფეხურზე შემომსვლელებს ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ გამოცდა „ზოგად უნარებში“

მისამართი: თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) №10, V სართ. ტელ.: 231 79 40, 231 79 41, 555 76 77 22, 599 33 53 92